ახალი გაზეთი

2009 წელი, 16 – 22 აპრილი

ფასი 90 თეთრი

№14 (448) გამოდის 1998 წლიდან

დიდი ხუთშაბათის მსახურებაში მოთხრობილია იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა მაცხოვრის ვნებას: მოწაფეებთან ერთად ბოლო პასექის აღსრულება, ფეხთბანვა, ევქარისტიის საიდუმლოს დაწესება და იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა.

ეკლესიური სწავლებით დიდ ხუთშაბათს ყველა მორწმუნე უნდა ცდილობდეს, ეზიაროს მაცხოვრის წმიდა ხორცსა და სისხლს, რათა მარადიული ცხოვრება დაიმკვიდროს ცათა სასუფეველში, როგორც ამას თვით უფალი გვამცნებს: *„და რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“* (ინ. 6,56).

ტროპარი: „რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს, მაშინ უსჯულო ოდა ვეცხლის მოყვარეებისა სენითა დაბნელდებოდა, და უსჯულოთა მსაჯულთა შენ, მართალსა მსაჯულსა, მიგცეძლა, იხილეთ, მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთვის შეშთვლიბა, ივლტოდე უძღებისა მისგან სულისა, რომელმან მოძღვარსა თვსსა ზედა ესე ვითარი იკადრა, არაძედ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთმოყვარე, დიდება შენდა“.

კონდაკი: „მიიღო პური ხელთა შინა განმცემელმან ოდა ხელთაგან დაძბადებელისათა, რომელმან ხელითა შექმნა ადამი, და მერმე განმარტნა, და მოიღო ფასი მოძღვრისა და ღვთისა მზაკვარმან, და არა შეიგონა, არაძედ ეგო უკურნებელად“.

ღია წერილი ქ-ნ ღურჭუმელიძეს

გვერდი 3

შეესაბამება თუ არა 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის შედგენილი ახალი საგამოცდო პროგრამა მათემატიკაში ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებს?

გვერდი 3

„პიონერფილმი“ – 50

გვერდი 6–7

ჰერეთელი მოსწავლეების ქართული კონტურები – ის, რაც ყველაზე ახლობელია

„ეს ლამაზი ხე, ეს მაღალი მთა,
ეს მიწა-წყალი,
ეს არის მხოლოდ ჩემი სამშობლო
სხვა არაფერი.
თუ დამაფიქრებს სიო მთიდან
გადმონაქროლი,
ეს არის მხოლოდ ჩემი ოცნება,
სხვა არაფერი“

– ამ ოცნებით ჩამოსული ინგილოელი მოსწავლეები 14 აპრილს, დედაენის დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დააჯილდოვა. საჩუქარი სოლიდური იყო, გამარჯვებულმა მოსწავლეებმა პერსონალური კომპიუტერები მიიღეს. ჰერეთელი მოსწავლეებისათვის ჯილდო მართლაც დამსახურებული იყო. დაჯილდოებამდე კი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონების თორმეტ ქართულენოვან სკოლაში ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა. კონკურსში VI-XI კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. გამოვლინდნენ საუკეთესო ქართული ლექსის, მოთხრობის, თავისუფალი თემისა და სხვა სახის ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორები. უნივერსიტეტში თითოეულმა სკოლამ საკუთარი გამარჯვებული წარმოადგინა.

პროექტის მიზანი, საინგილოს ქართულენოვან სკოლებში მშობლიური ენის უკეთ შესწავლის წახალისება, მოსწავლეების შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა, ინგილო ბავშვების მშობლიურ ლიტერატურასთან და ეროვნულ გარემოსთან დაახლოება იყო. უნივერსიტეტში გამართულმა ღონისძიებამ პროექტის მიზნის წარმატებით მიღწევაში დაგვარწმუნა.

გვერდი 2

C M Y K

ჰერეთელი მოსწავლეების ქართული კონტურები – ის, რაც ყველაზე ახლობელია

პირველი გვერდიდან

„ჰერეთის დღეები“ საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო სტუმრებისათვის აღმოჩნდა, ინგილოელ მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, თავიანთი ემოციები ქართველი საზოგადოებისათვის პირისპირ, სევდაშეპარული ლექსებით გადმოეცათ. ამ დღეს, როგორც ბავშვებმა გვითხრეს, ყველაზე ბედნიერები იყვნენ. ეს სამშობლოს სიყვარულით გამოწვებული ბედნიერება იყო, ისინი ხომ შორიდან, ეფერებიან ქართულ სიტყვას, ქართულ კულტურას, ჩვენს წარსულს და ოცნებობენ, მომავალი სამუდამოდ მას დაუკავშირონ. ამ ოცნებას კახის ინტერნაციონალური სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე **სოფიკო ნუროშვილი** ასე გადმოგვცემს თავის ლექსში:

„ირემს რად უყვარს მთა-ბარი,
განა ეს საკითხავია?
რად მიყვარს ჩემი სამშობლო,
განა ეს გასაკვირია.
სამშობლოს მთაზე ავსულვარ
და მინახია მთა-ბარი,
უსასრულო და ლამაზი,
მუდამ მწვანე და ხალასი.
იქით მთა, აქეთ ქურმუხი
საყდარი ჩაფიქრებული.
წმინდა გიორგის მადლითა
სიცოცხლე საამურია.
პატარა კახო კაკლის ხეივნით,
მე თქვენთვის ვცოცხლობ
მთებო კახისა,
არ დამიკარგავს რწმენა-იმედი,
ალბათ ოდესმე ერთად
ვიქნებით.“

ეს მართლაც საინტერესო ინიციატივაა – ასე შეაფასა პროექტი თსუ-ს რექტორმა, **გიორგი ხუბუამ**, მან სიტყვით მიმართა ინგილოელ მოსწავლეებს: „გილოცავთ დედა ენის დღეს და ძალიან მიხარია, რომ დღეს უნივერსიტეტში სტუმრად გვყავს ახალგაზრდობა ჰერეთიდან. ამისთვის მადლობას ვუხდი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სწორედ მათი ორგანიზებით ტარდება ეს ღონისძიება. დარწმუნებული ვარ, დღეს ჩვენთან სტუმრად ჩამოსული მოსწავლეებიდან ბევრი ჩვენი სტუდენტი გახდება. ამ ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ენა, რადგანაც ასე მეტყველებენ ქართულად. ამას კი ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ და პატივი ვცეთ, ხელი შევუწყოთ და ვიზრუნოთ ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე, რადგან ისინი ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი არიან. ვფიქრობ, ორ მეზობელ სახელმწიფოს, ამ მხრივ, არანაირი პრობლემა არ აქვს.

მართლაც მნიშვნელოვანია, კარგად ვიმეტყველოთ ქართულ ენაზე, მით უფრო საინგილოში მცხოვრები ქართველებისთვის. ქართული ენის კარგად ცოდნა ნიშნავს, რომ ჩვენ კარგად ვიცნობთ ქართულ სამყაროს, რადგანაც ქართული კულტურა, მთელი ჩვენი ქართული ცნობიერება მხოლოდ ენაში და ენის მეშვეობით არსებობს. ამიტომაც გვინდა გავუფრთხილდეთ თქვენს გამორჩეულ სიყვარულსა და ინტერესს ქართული ენისადმი. ვისურვებდი, მომავალში ბევრი თქვენგანი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტად მეხილოს. საინგილოს ქართველებთან ურთიერთობა, ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა, ამიტომაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ მერაბს ასეთი სწორი აქცენტებისათვის დიასპორის საკითხებში. უნივერსიტეტში ჩვენი შეხვედრაც, ალბათ, სიმბოლურია. მოგეხსენებათ, როცა ქართულ ენას ძალიან უჭირდა, 1978 წელს, როცა ძალიან ძნელი იყო, ზოგადად, მართალი სიტყვის თქმა, დაიწყო მოძრაობა ქართული ენის დასაცავად, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტიდან – ჩვენი სტუდენტობა და პროფესურა იყო ამ პროცესებში სერიოზულად ჩართული. ამაში გასაკვირიც არაფერია, რადგან ენა არასოდეს ყოფილა ქართველებისთვის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, ენა ჩვენთვის ყოველთვის ქართული იდენტურობის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტი იყო, ამიტომ რეაქციაც შესაბამისად მწვავე იყო. მინდა სიამაყით ვთქვა, რომ დღევანდელი ღონისძიება თქვენ მიერ მიღწეული დიდი წარმატების დაგვირგვინებაა და კაცი, რომელიც მშობლიურ ენას უფრთხილდება, ბუნებრივია, პატრიოტიცაა. ენაში თუ წარმატებული ხარ, მაშასადამე, ყველაფერში წარმატებული იქნები. ამ წარმატებების მიღწევაში კი განსაკუთრებულ მადლობას ამ ბავშვების მასწავლებლები იმსახურებენ. ორმაგად დასაფასებელია, საქართველოს საზღვრებს გარეთ ასე რომ უფრთხილდებით კავშირს ქართულ კულტურულ სივრცესთან, იმ სამყაროსთან, რასაც, ზოგადად, ქართველობა, ქართული ცივილიზაცია ჰქვია. საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან თქვენ ნამდვილად იმსახურებთ მხარდაჭერას.

თქვენი პატრიოტული განწყობა მართლაც გადამდებია, ამავდროულად, თქვენს ლექსებში იგრძნობა სევდაც, რომელიც არამც და არამც არ არის დამთრგუნველი. სასიამოვნოა, რომ თქვენი ლექსიკა ასეთი მდიდარია, რაც მთავარია, თქვენს შემოქმედებაში იგრძნობა გულწრფელობა. მერწმუნეთ, ბევრი სტუდენტი საინგილოდან ქართულად თქვენსავით გამართულად ვერ მეტყველებდა, არა თუ ლექსებს წერდა. დარწმუნებული ვარ, თქვენ ქართულ ენას სწავლობთ არა ნიშნებისთვის, არამედ სიყვარულისა და ინტერესის გამო, რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია. ეს გვავალდებულებს ქართულ მხარეს, რომ თქვენ მიმართ მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ. ვისურვებდი, ასე გამორჩეულად კარგი ახალგაზრდები ჩვენს უნივერსიტეტში მოვიდნენ სასწავლებლად. გისურვებდით ასეთი ოპტიმისტური განწყობა და შემართება, როგორიც დღეს თქვენი შემოქმედებით მოიტანეთ, მომავალშიც არ გაგნელებოდეთ.“

მერაბ ჩუხუა, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე: „ეს გაცვლითი პროგრამები როგორც საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის (რიცხობრივად 200 ათას მოსახლეს წარმოადგენს), ასევე აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობისათვის (მხოლოდ საინგილოში 50 ათასს აჭარბებს). ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ რაიონში ცხოვრობენ ქართველები – კახის თუ ზაქათალის, ჩვენთვის ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანია. ისინი თავს ქართველებად სწორედ ქართული ენიდან გამომდინარე მოიაზრებენ. გვინდა, ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ. საინგილოს ქართული სკოლები დაძმობილდებიან საქართველოს აზერბაიჯანულ და ქართულ სკოლებთან, ეს პროგრამაც არსებობს. ასეთივე ღონისძიება ჩატარდება შემოდგომაზე, სწავლის დაწყების ზეიმთან დაკავშირებით. გვსურს, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი – კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი – საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების უცვლელი მასპინძელი იყოს“.

„საქართველოსთან ხშირ კონტაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჩვენ შორიდან გვიწევს სამშობლოს მოფერება, ჩვენი შვილებისთვის კი ქართული ენისადმი ინტერესი ისეთივე ძლიერი და მშობლიურია, როგორც საქართველოში მცხოვრები ქართველებისათვის, – გვითხრა, ქოთოქლოს სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, **ცისმარ ბერიკაშვილმა**, – ჩვენს სკოლაში საქართველოს ისტორიას ვერ ვასწავლით, ისწავლება აზერბაიჯანის და მსოფლიო ისტორია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა შვილებმა საქართველოს ისტორია მაინც იციან, იციან, რომ უნდა იამაყონ დიდი წინაპრებით – დავით აღმაშენებლითა და თამარ მეფით, უნდა იამაყონ ქართული ენით, რომელიც ასე სათუთი და მოსაფრთხილებელია. ქართულ ენას სკოლაში ჩვეულებრივი პროგრამით გავდივართ. ჩვენი სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა საქართველოში მოდის უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად. ასეთი ღონისძიებებით კი საგრძნობლად გავზრდით ჩვენი ახალგაზრდობის მოტივაციას და გავუღვივებთ სიყვარულს მშობლიური ენისადმი. “

ჯანათა აივაზოვა, სოფელი ალიბადი, მშობელი: „ასეთი ღონისძიებები ძალიან კარგია ბავშვებისათვის. ჩვენ გარკვეული ზეწოლის ქვეშ გვიწევს ცხოვრება. ხშირად ქართულ სახელებზეც კი გვექმნება პრობლემები, ქართულ ენას ავიწროვებენ. მიუხედავად ამისა ჩვენმა შვილებმა ქართული მაინც იციან, ლექსებსაც კი წერენ, ჩანახატებს აკეთებენ სამშობლოზე, რომელიც გამძაფრებულად უყვართ. აქ ჩამოსვლა მათთვის ყველაზე დიდი სიხარულია. დიდი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს.“

მერი მაზანაშვილი, სოფელი ალიბადი, მშობელი: „ახლახან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იყვნენ ჩვენთან ჩამოსულები, არც ერთ მოსწავლესა და მასწავლებელს არ მისცეს მათთან შეხვედრის უფლება. ამბობენ სკოლის დახურვაც კი უნდათო. სამინისტროდან ჩამოსული სტუმრები ჩვენ სოფელში მცხოვრებ მუსულმან მოსახლეობას შეახვედრეს, ჩვენ კი ამას შორიდან ვადევნებდით თვალს. გამუდმებულად ცდილობენ, მსგავსი ღონისძიებები ჩაახშონ, რათა არ გვექნეს კონტაქტი ქართველებთან. საქართველოდან მხარდაჭერა კი გვაქვს, ჩამოაქვთ ხოლმე წიგნები, მაგრამ ჩვენ ამით მაინც ვერ ვსარგებლობთ, რადგანაც იქამდე არავინ გვიშვებს, ჩვენთვის მიუწვდომელია. გვინდა, რომ

ღია წერილი ქ-ნ ღურჭუმელიძეს!

ქ-ნო მანანა!

თქვენი საჩივრის პასუხად, კიდევ ერთხელ, ამჯერად საჯაროდ განგიმარტავთ მე-10 საჯარო სკოლის პედაგოგების პოზიციას თქვენი ქმედებების მიმართ:

1. თქვენ არაერთხელ დაამახინჯეთ ფაქტები და აუგად მოიხსენიეთ სკოლის კოლექტივი იმის გამო, რომ ვისარგებლეთ ჩვენი კონსტიტუციური უფლებით და ავირჩიეთ სხვა პროფესიული გაერთიანება, რომელმაც, თქვენგან განსხვავებით, შემოგვთავაზა უკეთესი პირობები: კერძოდ, მასწავლებელთა ზრდისათვის მუდმივი თანადგომის პროგრამა (ეს პროგრამა საგნების მიხედვით სკოლაში უკვე ხორციელდება). თქვენ წლების განმავლობაში ჩვენს სკოლაში და საქართველოს არცერთ სკოლაში მსგავსი არაფერი გიკეთებიათ, იმის გამო, რომ არ გსურთ, ჩვენივე ფული ჩადოთ ჩვენსავე პროფესიულ ზრდაში. თქვენ მოითხოვთ სასერტიფიკაციო გამოცდების გაურკვეველი ვადით გადადებას. მიგვაჩნია, რომ ***ჩვენი მთავარი დამცველი ჩვენი პროფესიონალიზმია***, რაც საგანმანათლებლო ბაზარზე მასწავლებელთა უფლებების დაცვის უმყარესი გარანტიაა და, შესაბამისად, სწორედ ამის შედეგად ეკისრება ვალდებულება სახელმწიფოს მასწავლებელთა ხელფასების ზრდის შესახებ!

2. თქვენ არაერთგზის დააფიქსირეთ, რომ ჩვენი არჩევანი დირექტორმა განაპირობა. ნუთუ ვერ იგებთ, პედაგოგთა „დამცველო“, ამით რა შეურაცხყოფას აყენებთ მასწავლებლებს! თქვენი აზრით, ავ-კარგის გარჩევა არ შეგვძლებია?!

3. პრობლემა ეძებეთ თქვენს არაკონკურენტუნარიანობაში და არა სხვაში! თქვენი ორგანიზაცია წლების განმავლობაში საგანმანათლებლო ბაზარზე მონოპოლისტი იყო, ბევრმა პედაგოგმა დღესაც არ იცის, არის თუ არა იგი პროფესიული გაერთიანების წევრი და ეჭრება თუ არა ხელფასიდან 1%! თქვენ ვერ მოახერხეთ ორგანიზაციის შესაბამისი რეფორმირება! მიგაჩნიათ, რომ თქვენგან უფლებააყრილი პირველადი ორგანიზაციები (იხ. „სპმთპ“-ს წესდება), რომელთაც ჰყავთ ბელადი ღურჭუმელიძე, ფრიად ბედნიერები არიან?! ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბელადომანიამ კარგა ხანია დრო მოჭამა!! თქვენი სლოგანია – *„მჩაგვრელი ადმინისტრაცია და დაჩაგრული პედაგოგები“* (ხელოვნური დაპირისპირების შექმნის მიზნით). ჩვენი სკოლის სლოგანია – *„სკოლა ერთიანი ორგანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს მუდმივ განვითარებას და წარმატების მოპოვებას საგანმანათლებლო სივრცეში!“* თქვენი იდეა-ფიქსია უმკაცრესი ცენტრალიზაცია (თქვენი ორგანიზაციის „რეფორმის“ არსი) ჩვენი – თვითმმართველობის განვითარება!

4. თქვენი მუშაობის სტილია – ფინანსების თავნებური და ხშირად არაკანონიერი განკარგვა! ჩვენი სკოლის პრინციპია – სრული ფინანსური გამჭვირვალობა, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი არჩევანი თქვენ არა ხართ!!!

5. ქ-ნო ღურჭუმელიძე, გაფრთხილებთ: თუ თქვენ განაგრძობთ მე-10 საჯარო სკოლის მადისკრედიტებელ საქმიანობას, იძულებული გავხდებით, მოვახდინოთ ჯერ რაიონის, ხოლო შემდეგ დედაქალაქის პედაგოგების კოორდინირება თქვენი უკანონო და უარგუმენტო ქმედებების ასალაგმავად!!!

მე-10 საჯარო სკოლის პედკოლექტივი,
სამეურვეო საბჭო,
მშობელთა სათათბირო

სახელმძღვანელოები

შეესაბამება თუ არა 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის შედგენილი ახალი საგამოცდო პროგრამა მათემატიკაში ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სასკოლო სახელმძღვანელოებს?

რას ფიქრობენ მეთორმეტეკლასელები – ამ სათაურით ქვეყნდება XII-კლასელთა პასუხები სახელმძღვანელოების, ეროვნული გამოცდებისა და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ. მოსწავლეები ღიად საუბრობენ იმ მიზეზებზე, რომლის გამო არ დადიან სკოლაში, არ გადაუშლიათ XII კლასის სახელმძღვანელოები, იძულებული არიან მიმართონ რეპეტიტორებს.

ზოგიერთი მათგანი საყვედურსაც კი გამოთქვამს XII კლასის სახელმძღვანელოების ავტორების მიმართ; **თეონა ინანეიშვილი**, 166-ე საჯარო სკოლა: *„წიგნის ავტორებს ისეთი სახელმძღვანელო უნდა შემოეთავაზებინათ, სკოლაშიც გვესწავლა და მისაღები გამოცდებისთვისაც გამოგვდგომოდა. ასეთ შემთხვევაში სკოლაში ვივლიდით...“.*

უმრავლესობის აზრით, მათემატიკის XII კლასის სახელმძღვანელოში გადმოცემული მასალა არ ემთხვევა მისაღები გამოცდების პროგრამას (XII კლასში ერთი სახელმძღვანელო მოქმედებს: **გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მებონია, ლამარა ქურჩიშვილი**, მათემატიკა 12). ეს მოსაზრება რეპეტიტორებისგან, მშობლებისგან და, რაც უფრო სამწუხაროა, მასწავლებლებისგან ესმით მეთორმეტეკლასელებს. მასწავლებლებთან შეხვედრების დროს ამ თემას ხშირად ვეხებით – ვიხილავთ საგამოცდო პროგრამასა და სახელმძღვანელოს შესაბამის საკითხებს, ვჩუქნით მათ ახალ წიგნებს, რომლებითაც წინა წლებში შესწავლილი საკითხები შეიძლება გაიმეორონ („გავიმეოროთ მათემატიკა“, თბილისი, „ინტელექტი“, ნაწილი I და ნაწილი II).

ამ წერილით კი მივმართავთ მოსწავლეებს, მათ რეპეტიტორებს, მასწავლებლებს, მშობლებს და ვთხოვთ, ერთად შევამოწმოთ – შეესაბამება თუ არა XII კლასის სახელმძღვანელო მისაღები გამოცდის პროგრამას, გამოადგება თუ არა მოსწავლეს ეს წიგნი მათემატიკასა და ზოგად უნარებში საგამოცდო ტესტის დაძლევაში?

გადავშალოთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული კრებული – „როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, არჩევითი საგნები“, თბილისი, 2009. 155-ე გვერდზე ვკითხულობთ: საგამოცდო პროგრამა ეფუძნება მათემატიკის ეროვნულ სასწავლო გეგმას.

დავამატებ – <u>სასკოლო სახელმძღვანელოები კი არ უნდა დაიწეროს საგამოცდო პროგრამის მიხედვით, როგორც ამას მოსწავლეები გვთხოვენ, არამედ საგამოცდო პროგრამა უნდა შედგეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მისი შესაბამისი სახელმძღვანელოების მიხედვით.</u>

ახლა ერთდროულად გადავშალოთ XII კლასის სახელმძღვანელო და საგამოცდო პროგრამა (გვ. 156):

სახელმძღვანელოს I თავი – გადმოცემულია სიმრავლეთა თეორიის ელემენტები, კომბინატორიკა. ეს საკითხები საგამოცდო პროგრამის ალგებრის ნაწილის №1 და №43 საკითხებია. ამავე თავში განხილულია სიმრავლეთა თეორიის, ვენის დიაგრამების გამოყენების მაგალითები. მათი შესწავლა დაეხმარება მოსწავლეებს ზოგადი უნარების ტესტში ლოგიკური ამოცანების ამოხსნისას. ამავე ტესტში ხშირად გვხვდება კომბინატორული შინაარსის დავალებებიც.

სახელმძღვანელოს II თავში ალბათობის საკითხებია გადმოცემული, აი, რას ფიქრობს ამის შესახებ 182-ე სკოლის მეთორმეტეკლასელი **ქრისტინე კვარაცხელია**: *„...სასურველი იქნებოდა XII კლასის სახელმძღვანელოში ალბათობის თეორიის ნაცვლად უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გამახვილებულიყო ყურადღება, რაც მისაღები გამოცდებისთვის გამოგვადგებოდა და უნარებშიც რეპეტიტორი არ დაგვჭირდებოდა”.*

მე ვთხოვ ქრისტინეს, გადაშალოს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოშვებული წიგნი: *„როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, სავალდებულო საგნები“*, გვ. 104; აქ წარმოდგენილი საგამოცდო პროგრამის მიხედვით, ყველა აბიტურიენტს მოეთხოვება ალბათობის თეორიის ელემენტების ცოდნა. ამას ადასტურებს სავარაუდო ტესტის შინაარსიც (იხ., მაგ., გვ. 103).

მათემატიკის საგამოცდო პროგრამის მიხედვით კი, ალბათობის საკითხები მე-XII კლასის სახელმძღვანელოს შესაბამისია – პროგრამის ნაწილი, მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა, №3 საკითხი. სავარაუდო ტესტიც შეიცავს ალბათობის საკითხებს.

XII კლასის მე-3 თავი მოდულური არითმეტიკის საკითხებს ეძღვნება. მთელ რიცხვთა გაყოფადობის საკითხები, ნაშთთა არითმეტიკა – შესაბამისი ამოცანები ძალიან პოპულარულია მათემატიკასა და ზოგადი უნარების საგამოცდო ტესტებში: ამ საკითხებს საგამოცდო პროგრამებიც ითვალისწინებს (მაგალითად, ნაწილი ალგებრა, №2 საკითხი).

სახელმძღვანელოს მე-4 თავში შეჯამებულია მოსწავლეთა წინა ცოდნა ფუნქციის, ფუნქციების კომპოზიციის შესახებ, სხვადასხვა ტიპის ელემენტარულ ფუნქციებზე (იხ., მაგ., საგამოცდო პროგრამა, ალგებრა, №23 საკითხი).

მე-5 თავში გეომეტრიული ფიგურებია წარმოდგენილი; ვექტორები სივრცეში, კოორდინატები სივრცეში, გეომეტრიული ალბათობა – ეს საკითხები საგამოცდო პროგრამითაც არის გათვალისწინებული, გეომეტრია, №12-№23; ალბათობა, №3 საკითხი.

ახლა პირველი სკოლის XII-კლასელს, **თაკო ღელაღუტაშვილს** მივმართავ. თქვენ ამბობთ: *„...XII კლასის პროგრამა არ შეესაბამება ერთიან ეროვნულ გამოცდებს, აქედან გამომდინარე, ჩვენ – უფროსკლასელები, ბუნებრივია, უმეტეს დროს ვუთმობთ გამოცდებისთვის მზადებას. XII კლასის სახელმძღვანელოების უმეტესობა კი გვერდზე დარჩა გადადებული, რადგან ფიზიკურად დრო არ რჩება“*, მაგრამ, თუ თქვენ მათემატიკას აბარებთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის შესწავლა მოგიწევთ; ზოგადი უნარების ტესტები კი მოცულობისა და ალბათობის ცოდნას მოითხოვს. განა უკეთესი არ იქნება, რომ სკოლაში გაიაროთ ეს საკითხები? იგივე ეხება სახელმძღვანელოს ბოლო თავსაც, რომელშიც მონაცემთა ანალიზის და სტატისტიკის საკითხებია გადმოცემული. ცხადია, XII კლასის სახელმძღვანელო არ ამოწურავს ყველა საგამოცდო საკითხს, ზოგიერთის გადმოცემა კი მეტი მოცულობითაა წარმოდგენილი. სკოლაში სწავლის მიზნები არ ემთხვევა მხოლოდ მოსწავლეთა მომზადებას მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად; ერთ-ერთი ამოცანა უმაღლეს სკოლაში სწავლისთვის მომზადებაც არის; სხვა მიზნების შესახებ საინტერესოდ ისაუბრა თქვენი გაზეთის საშუალებით ქალბატონმა **ნელი ნასყიდაშვილმა**. საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ნაწილი მოსწავლეებს VII-XI კლასებში აქვთ გავლილი. შეჯამებული სახით ისინი ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებშია წარმოდგენილი („გავიმეოროთ მათემატიკა“, წიგნი I და წიგნი II).

თეიმურაზ ვეფხვაძე
10 აპრილი, 2009 წელი

<u>დამატებითი შეხსენება სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის:</u>

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 5, მე-5 პუნქტი: ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

ჰერეთელი მოსწავლეების ქართული კონტურები – ის, რაც ყველაზე ახლობელია

ქართული სკოლა გამოეყოს და ცალკე იფუნქციონიროს, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს შეუძლებელია. კიდევ ერთ რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება – უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებმაც განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს, არსად სამუშაოდ არ იღებენ, ხაზგასმით უარყოფენ, რადგანაც არ უნდათ, კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ კონტაქტი გვექნეს საქართველოსთან. არადა, ჩვენი ახალგაზრდების დიდი ნაწილი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, ეს მათი დიდი სურვილია. ამ ფონზე, დღევანდელის მსგავსი კონტაქტები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიება არ იქნება და გაგრძელება მოჰყვება“.

ღონისძიებაზე ალიბეგლოს შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლის მეთერმეტე კლასის მოსწავლემ, **ზაზა სუყაშვილმა** სამშობლოზე დაწერილი ლექსი წაიკითხა:

„საქართველოს სილამაზე
ქვეყნად ხიბლავს ბევრს,
მისი მთები და ველები
ელანდება მტერს,
მაღლა მთიდან გადმოჰყურებს
ზედაზენი ჯვარს,
სვეტიცხოვლის სილამაზე
მნახველს უჭრის თვალს...“

ეს ნაწყვეტია უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე წაკითხული ლექსიდან, ისე კი, ზაზა სამშობლოზე ლექსებს ხშირად წერს, თბილისსაც ხშირად სტუმრობს, რადგანაც ამბობს, რომ ძალიან უყვარს საქართველო, მისი მომავალი გეგმებიც სწორედ აქაურობას უკავშირდება: *„ამ რვეულში 30-მდე ლექსი მაქვს დაწერილი. კონკურსში სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. წელს სკოლას ვამთავრებ და გადაწყვეტილი მაქვს, საქართველოში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ვცადო ბედი. სერიოზულად ვემზადები, რეპეტიტორთანაც დავდივარ. ბუნებრივია, ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, როცა საქართველოში გვაჯილდოვებენ, ეს წარმატება ქართულ ენას უკავშირდება“.*

მარიკა ქენგულოვა, მოსულის საშუალო სკოლის მოსწავლე კი თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევს, ჯილდოს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გადასცემს და მასთან სამახსოვრო ფოტოსაც იღებს: *„დღეს ძალიან ბედნიერი ვარ, საქართველოში ჩამოვედი. ძალიან მიყვარს ჩვენი სამშობლო, ბუნებრივია, ქართული ენაც და როცა კონკურსი გამოაცხადეს, სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. გავიმარჯვე კიდეც და დღეს ჩვენი წარმატება აქ, თბილისის უნივერსიტეტში აღინიშნა. საქართველოს ისტორიას სკოლაში არ გვასწავლიან, მაგრამ ჩვენი ისტორია ძალიან მაინტერესებს, ამიტომ ბიბლიოთეკიდან გამომაქვს წიგნები და ვკითხულობ. გადაწყვეტილი მაქვს, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩავაბარო, ამით ქართველობას მეტად შევინარჩუნებ. დიდი მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზტორებს ასეთი დაუვიწყარი წუთებისთვის, საჩუქრებისთვის და იმ თბილი ატმოსფეროსთვის, რაც ჩვენ, ჰერეთელ მოსწავლეებს აქ, უნივერსიტეტის კედლებში, დაგვახვედრეს, „ყოველ ცისმარე გამახსენდებით, ჩამეძინება დამესიზმრებით, თქვენთან შეხვედრაც ხატი მგონია, ვფიცავ ყველაფერს სანთლად გენთებით“.*

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საინგილოდან ჩამოსულ ბავშვებს რამდენიმე დღის განმავლობაში უმასპინძლა.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და ახალგაზრდა ჰერეთელთა ასოციაციის ორგანიზებით, 15-16 აპრილს მიმდინარე „ჰერეთის დღეები“ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, გმირულად დაღუპული ქართველი მეომრების ხსოვნას მიეძღვნა.

ლალი ჯელაძე

მწიგნობრული ტრადიციის ექსპოზიცია

ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ერთი დღით გამოიფინა „დედა ენის“ პირველი გამოცემები და იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერები.

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: *„სიმბოლურია, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული ენის დღეს აღვნიშნავთ. მოგეხსენებათ, „დედა ენა“ არ შექმნილა ცარიელ ადგილას, მას ჰქონდა ძალიან დიდი მწიგნობრული ტრადიცია, რომლის ნიმუშები ჩვენს ცენტრშია დაცული. გარდა ამისა, ჩვენთან დაცულია იაკობ გოგებაშვილის პირადი საარქივო ფონდი, „დედა ენაზე“ მუშაობის ხელნაწერები, პირველი ილუსტრაციები, რომლებიც დედა-ენისთვის სრულდებოდა და პირველი გამოცემების კლიშეები.*

დღეს გამოიფინა იაკობ გოგებაშვილის საარქივო ფონდიდან ნიმუშები, რომლებიც „დედა ენას“ უკავშირდება და ასევე შეიქმნა საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიხედვითაც ბავშვებმა თავად უნდა შექმნან წიგნი“.

დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, ენახა ექსპონატების ორიგინალები: „დედა ენის“ პირველი გამოცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე; XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი რენე შმერლინგის ილუსტრაციები იაკობ გოგებაშვილის თხზულებებისათვის; ილუსტრაციათა ესკიზები იაკობ გოგებაშვილის სახელმღვანელოებისათვის; იაკობ გოგებაშვილი – მასალა „დედა ენის“ პირველი ნაწილისათვის (ლექსები, მოთხრობები, მეთოდური მითითებანი); იაკობ გოგებაშვილის წერილები „ქართული დედნის შესახებ“, 1883 წელი, ავტოგრაფი; იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემის კლიშეები. პატარებისათვის სპეციალურად მომზადებული იყო მასალები – „რწყილი და ჭიანჭველა“ ფურცლების სახით – ილუსტრაციები უნდა გაეფერადებინათ, დაესათაურებინათ, მიმდევრობაც აეწყოთ და შემდეგ წიგნად აეკინძათ. ხელნაწერთა ცენტრში შეკრებილ დამთვალიერებელს ქართული ენის დღე მიულოცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ნიკა გვარამიამ**: *„ყველა ქართველის სამყაროს შემეცნების გასაღები გოგებაშვილის გენიალური „აი ია“-თი იწყება და პირველ ნაბიჯებსაც განათლებაში სწორედ ამ სიტყვებით ვდგამთ. მართალია, მას შემდეგ, რაც პირველი „დედა ენა“ გამოიცა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ უცვლელია „აი ია“ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს არასოდეს შეიცვლება, რადგან მთავარი საიდუმლო სწორედ ამ ორი სიტყვის სისადავესა და გენიალურობაშია. ყოველ შემთხვევაში დღემდე უკეთესი ვერავინ გამოიგონა. იაკობ გოგებაშვილი ჩვენი საგანმანათლებლო ტრადიციის მთავარი ავტორია, რომელზეც დგას ქართული საგანმანათლებლო სკოლა. მე, როგორც განათლების მინისტრი და როგორც რიგითი ქართველი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენ ამ ფესვებს არასოდეს მოვწყდეთ.*

ბავშვები დღეს აქ ძალიან საინტერესო საქმით არიან დაკავებულნი. ისინი „რწყილი და ჭიანჭველას“ ამბავს აფერადებენ და წიგნად კინძავენ. ეს მეთოდი შესულია 1876 წლის „დედა ენის“ გამოცემაში და შესულია დღევანდელ „დედა ენაშიც“, რაც ტრადიციების მიმღეობასა და უწყვეტობაზე მეტყველებს“.

პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით ბაქრაძემ** ენის დღე მიულოცა პატარებს და დაჰპირდა, რომ მათ აღარასოდეს მოუწევთ ქართული ენის დაცვა, რადგანაც ქართული სახელმწიფო არის და იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა, სადაც ქართულ ენას საფრთხე აღარასოდეს დაემუქრება.

ლალი ჯელაძე

გერმანული პროექტის პარტნიორი სკოლა

14 აპრილს თბილისის 52-ე საჯარო სკოლას (დირექტორი **პაატა ბერიკაშვილი**) პარტნიორი სკოლების დიდ ოჯახში შესვლის დამამტკიცებელი ოფიციალური აბრა გადაეცა. საზეიმო შეკრებაში სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები და გერმანული ენის კოორდინატორი და კონსულტანტი საქართველოში, ქალბატონი **კერსტინ შეფლერი** მონაწილეობდნენ. პროექტის შესახებ დაწვრილებით სწორედ მან ისაუბრა: *„ყველაფერი ერთი წლის წინ დაიწყო. ბატონმა პაატა ბერიკაშვილმა დარეკა ჩვენთან და გვკითხა, როგორ შეიძლება, ჩვენი სკოლა პროექტის მონაწილე გახდესო. ამას მოჰყვა შეხვედრები, მოლაპარაკებები. ვიმსჯელეთ, როგორ დაგვეწყო და განგვეხორციელებინა ეს პროექტი სკოლაში. მოგეხსენებათ, პროექტს აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. გერმანულ ინიციატივას ფართო გამოხმაურება მოჰყვა და მასში 52 ქვეყანა ჩაერთო, სადაც არსებობს ე.წ. გერმანული სკოლები და ეწოდებათ მათ გერმანიის რესპუბლიკის პარტნიორი სკოლები.*

პროექტის ფარგლებში საკმაოდ დიდი დაფინანსება მივიღეთ გერმანიის მხრიდან. ამ ერთი წლის განმავლობაში შევიძინეთ ტექნიკა, სახელმძღვანელოები, უფრო მეტს შევიძენთ მომავალ წელს, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გერმანული ენის შესწავლა სკოლაში წარმატებით განხორციელდეს. ამისთვის, უპირველესად, პედაგოგია საჭირო, რომელიც გერმანიიდან ჩამოვიყვანეთ, ბატონი ***ვოლფგანგ ციპელი*** *და სექტემბრიდან მუშაობს ამ სკოლაში. შემდეგი აუცილებელი პირობა იყო გერმანული ენის კაბინეტის მოწყობა, რომელიც ასევე გერმანულმა მხარემ დააფინანსა, ამისათვის გერმანიიდან სპეციალურად ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა პედაგოგი – კრისტიანი და იოჰანესი, მათ ვოლფგანგთან ერთად მოაწყვეს გერმანული ენის კაბინეტი, რომელიც დღესვე გაიხსნება და ხვალიდან უკვე შესაძლებელი იქნება გერმანული ენის გაკვეთილების ჩატარება სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის თანხლებით.*

პროექტის საბოლოო მიზანია, თქვენი სკოლა გახდეს სადიპლომო სკოლა, სადაც სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, მოსწავლეს გადაეცემა გერმანული ენის ცოდნის დამამტკიცებელი სერტიფიკატი. იმედი მაქვს, რამდენიმე წელში ამ მიზანსაც მივაღწევთ“.

საზეიმო ცერემონიალს წინ უძღოდა გერმანული ენის კვირეული, რომელიც 6-14 აპრილს გერმანელ სტუმრებთან ერთად ჩატარდა. ეს იყო საკმაოდ საინტერესო შემოქმედებითი და კულტურული პროგრამები ექსკურსიებითა და თეატრალური წარმოდგენებით, რომელიც დისკოთეკით დასრულდა.

პროექტის შესახებ საუბრობს უცხო ენების კათედრის ხელმძღვანელი, გერმანულის მასწავლებელი **ნანა ჭიღლაძე**: *„პროექტი 2008 წელს დაიწყო მსოფლიოს მასშტაბით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ შტაინმაიერის ინიციატივით და გულისხმობს გერმანული ენის სწავლებას გაძლიერებული მეთოდით. პროექტის საბოლოო სასურველი მიზანია გერმანული ენის დიპლომის აღება. დირექციის ინიციატივით, პროექტი ჩვენს სკოლაში 2008 წლის სექტემბრიდან ხორციელდება. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მშობლები დიდი ინტერესით შეხვდნენ ამ ინიციატივას, ყველანი ერთ აზრზე არ იყვნენ, მაგრამ უმრავლესობის აზრი დადებითი იყო. ბავშვების დაინტერესებაში გერმანელი პედაგოგი ვოლფგანგ ციპელი დაგვეხმარა. გარდა იმისა, რომ იგი კარგი პროფესიონალია, საკმაოდ განათლებული, ქართული კულტურის მოყვარული ახალგაზრდაა, რომელიც უკვე ახერხებს ქართულ ენაზე მოსწავლეებთან, კოლეგებთან თუ მშობლებთან ურთიერთობას. მისი დახმარებით დღითი დღე ვიკრებთ ძალებს.*

გერმანიის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა შეფლერმა გერმანულენოვანი ლიტერატურით მოგვამარაგა, რომელიც უცხოელი ბავშვებისთვისაა გამოცემული, მათივე ფინანსებით შევიძინეთ გერმანული ენის კაბინეტისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელსაც საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენებთ. ჩვენთან ინგლისური ენაც ისწავლება. ამ პროექტმა, შეიძლება ითქვას, ჯანსაღი კონკურენციის პირობები შექმნა. ეს კარგიცაა. მთავარი, რასაც დღემდე მივაღწიეთ, ესაა გერმანული ენის შესწავლისადმი ინტერესის გაღვივება, მისი უფრო ღრმად შესწავლა სიამოვნებით უნდა ხდებოდეს და არა ტანჯვით. ამიტომაც ვცდილობთ, ეს არ იყოს ჩვეულებრივი გაკვეთილები, ყოველთვის განსხვავებული და ორიგინალური მეთოდი შევთავაზოთ ჩვენს მოსწავლეებს“.

ვოლფგანგ ციპელი, გერმანული ენის მასწავლებელი: *„ეს არ არის ჩემი პირველი ჩამოსვლა საქართველოში, ვიცოდი, სად მოვდიოდი და რა მიზნით. ბევრ სხვა სკოლასაც ვიცნობდი, მაგრამ ჩავთვალე უფრო საინტერესო იქნებოდა, თუ ჩემთვის უცხო სკოლაში შევიდოდი და ყველაფერს ახლიდან დავიწყებდი. ბედმა გამიღიმა, რომ ასეთ კარგ სიტუაციაში აღმოვჩნდი. გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრია, მაგრამ რწმენა იმისა, რომ ეს ჩვენს ბავშვებს ძალიან გამოადგებათ, მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება. პროექტი მრავალმხრივია. მიღებულ ცოდნას ახალგაზრდები მარტო საქართველოში კი არა ბევრ სხვა ქვეყანაში გამოიყენებენ. პროექტი, ფაქტობრივად, XII კლასში ხორციელდება, მანამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. ბოლოს, განაცხადის საფუძველზე, გამოცდებს ჩააბარებენ და ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს მხოლოდ საუკეთესოები მიიღებენ. ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით ქართველ ბავშვებს, რომ გერმანული ენა ძალიან მაღალ დონეზე, სრულყოფილად შეისწავლონ, აიღონ სათანადო დიპლომი, რაც მისცემს მათ საშუალებას განათლება მიიღონ გერმანულენოვან ქვეყნებში დამატებითი გამოცდების გარეშე“.*

ანა ფირცხალაიშვილი

ქართული ბგერის ჯადოსნური მიმზიდველობა

ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გოჩა ჩხეტია**, სასწავლო ნაწილის გამგე – **სოსო ენდელაძე**) მეხუთეკლასელებმა ქართული ენის დღეს მიუძღვნეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „მამული, ენა, სარწმუნოება“ (კლასის ხელმძღვანელი – **ხათუნა ჯიმშელეიშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: **ლიანა კოსტავა** და **ლია ჯანელიძე**).

პატარებმა გაიხსენეს ჩვენი “მრავალ-ჭირვარამგადანახადი“ ქართული ენის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე და გამოკვეთეს, რომ ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ბუნება კავკასიონისა.

„ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენაზე“ წაიკითხეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. მხატვრული კითხვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით წარმოჩინდნენ: **ნინო ყურაშვილი, ანა თუთისანი** და **ქრისტინე კოლუაშვილი**. გოგონებს, ლექსის ემოციურ კითხვაში ვაჟებმა ტოლი არ დაუდეს, რადგან **ალექსი ჟორჟოლიანის, თორნიკე ლომიძის, შოთა ჯამბურიძის, ლუკა კიკნაძისა** და **საბა ჟღენტის** ხმის ტემბრში იგრძნობოდა დიდი სიყვარული და მოფერება დედა ენისადმი.

დამსწრეთა შორის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ოლღა ბებიასა (**თამარ კოპაძე**) და ზურიკელას იუმორმა (**დიმიტრი გურეშიძე**), რომელიც შეეხებოდა ზმნის პირს.

პატარები დიდი სიყვარულით მოეფერნენ ქართულ ანბანს და თავიანთ პირველ მასწავლებელს, ქალბატონ **ბაია სვანიძეს**, რომელმაც აზიარა ისინი დედა ენის მადლს და დაარწმუნა, რომ ქართულ ბგერას, სიტყვას აქვს თავისი ხიბლი, მუსიკა, ფერი და ჯადოსნური მიმზიდველობა.

ლიტერატურულ-მუსიკალურმა კოპოზიციამ ცხადყო, რომ ამ თვალხატულა გოგო-ბიჭების სახით ჩვენს ერს ეზრდება საიმედო თაობა. „კურთხეულ იყოს მამული ჩემი, ენა ჩემი, ერი ჩემი აწდა მარადის!“ – ეს სიტყვები წარმოთქვეს პატარებმა დასასრულს და გვაგრძნობინეს მზაობა ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად.

მარინე უკლეგა

ხელოვნების კვალდაკვალ

თბილისის 47-ე საჯარო სკოლის დირექციის (დირექტორი – **ირმა ხუციშვილი**) და ესთეტიკური აღზრდის კათედრის (ხელმძღვანელი – **ნინო ალექსიძე**) ინიციატივით სკოლაში ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება.

1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლაში აღინიშნა. კვირეულის ფარგლებში, 25 თებერვალს, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ეროვნულ გალერეაში, 1921 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა გაიხსნა. საუკეთესოდ დასახელდა 47-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლის, **თინი ფერაძის** პლაკატური ჟანრის ნახატი „1921“. თინი ფერაძის ეს ნამუშევარი საქართველოს ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული აქციისა და ალმანახის „1921“ გარე ყდის ლოგო გახდა.

ალმანახი „1921“ გამოიცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და კავშირის „ახალი ხელოვნება“ თაოსნობით. ალმანახის პრეზენტაცია შედგა 7 აპრილს, გალერეა „უნივერსში“.

ალმანახში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეთა 50 საუკეთესო მოთხრობა შევიდა. მათ შორის, 47-ე სკოლის მოსწავლის – **თამთა რეხვიაშვილის** მოთხრობა „24. 02. 09, ღამე“. ღონისძიება გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ნიკა გვარამიამ**. მან 1921 წლისადმი მიძღვნილ აქციებში გამარჯვებული საქართველოს სხვადასხვა სკოლა დააჯილდოვა.

3 აპრილს, 47-ე სკოლაში, გაიმართა სასწავლო-შემოქმედებითი ღონისძიება „მუსიკალური ვიქტორინა“. მონაწილეობდა 47-ე სკოლის VII-კლასელთა ხუთი გუნდი (მუსიკის პედაგოგი – **მარინა ებიტაშვილი**). კონკურსი სხვადასხვა სახეობის 9 რაუნდად ჩატარდა. „მუსიკალური ვიქტორინის“ ჟიურის წევრები იყვნენ: 47-ე სკოლის დირექტორი **ირმა ხუციშვილი** (თავმჯდომარე), სამუსიკო სტუდიის ხელმძღვანელი **ნინო ალექსიძე** და საპატიო წევრი – მუსიკათმცოდნე, გადაცემა „ანა-ბანას“ წამყვანი **გიორგი (ბიბი) კვაჭაძე**. მუსიკალურ-ინტელექტუალურმა შეჯიბრმა ობიექტურ ვითარებაში ჩაიარა და გამარჯვებულად VII[1] კლასის გუნდი „7 მუზა“ (კაპიტანი – **ლიზი პეტრიაშვილი**) დასახელდა.

მუსიკალური ვიქტორინა მხატვრულად გააფორმეს 47-ე სკოლის ხელოვნების სალონის წევრებმა: **დეა კაპანაძემ, თაკო კუდუხაშვილმა, ანა-მარი ოსიყმაშვილმა, ნინო ხაჩიძემ** და **მარიამ გოგუაძემ**. მათ ლიტერატურულ კონკურსში „ალუბლობა“ გამარჯვებული მოთხრობები წაიკითხეს.

იმავე დღეს, სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი თემაზე – „მუსიკის სამყაროში“. ჟიურიმ გამოფენა-კონკურსის გამარჯვებულად დაასახელა: VII[2] კლასის მოსწავლე **ანუკი ციმინტია** და VII[1] კლასის მოსწავლე **მიხეილ ცუცქირიძე**. სკოლის დირექტორმა ირმა ხუციშვილმა გამარჯვებული გუნდები და მოსწავლეები სიგელებითა და მუსიკალური ლიტერატურით დააჯილდოვა. ბიბი კვაჭაძემ კი გუნდს „7 მუზა“ სამახსოვროდ გადასცა მუსიკალური ალბომი „ეთნოლოგია“, რომელშიც მისივე ავტორობით შექმნილი კომპოზიციებია შესული.

მარინა ბენიძე

მომლოცველ მოსწავლეთა მსვლელობა

7 აპრილს, ხარებას, **მამა დავით ქალებაშვილის** ლოცვა-კურთხევით, მოსწავლე ახალგაზრდობამ მომლოცველური მსვლელობა მოაწყო დიდუბის ღვთისმშობლის ტაძრიდან სამების ლავრამდე. მსვლელობის ინიციატივა 116-ე საჯარო სკოლის პედაგოგს **დავით ფერაძეს** ეკუთვნოდა. ამ ინიციატივას სხვა სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. შეიქმნა მოსწავლეთა სპეციალური საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც დედაქალაქის მასშტაბით უზრუნველყო თანატოლების გაფრთხილება. შემოწირული თანხით შევიძინეთ აღდგომის ხატი, რომელიც მამა დავითმა აკურთხა. ხატი ჯერ დიდუბის ეკლესიაში მოაბრძანეს. მისი გამოჩენისთანავე ახალგაზრდებით გაივსო ტაძრის ეზო. მომლოცველები დიდუბის ტაძრის მოძღვრის, **მამა ვახტანგის** დალოცვის შემდეგ დაიძრნენ სამებისაკენ. მონაწილეთა რაოდენობის გამო მოძრაობა შეწყდა წერეთლის გამზირზე. მსვლელობას გზადაგზა ხალხი უერთდებოდა. მომლოცველები დალოცა ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარმა. სამების ტაძარში მისვლას სულ სხვა მადლი აქვს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მსვლელობა და ლოცვა ბევრ ჩვენ თანატოლს, მთელ ერსაც შეეწევა, ოღონ ერთ რამეზე დაგვწყდა გული: ველოდით, რომ იმ დღეს მომლოცველ ბავშვებს პატრიარქი დაგვლოცავდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას ჩვენი მსვლელობის შესახებ არ მიაწოდეს ინფორმაცია. ეს რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვართ, პატრიარქი შეგვხვდებოდა ისე, როგორც ეს გააკეთა უფალმა, როდესაც მასთან დასალოცად მისულმა ბავშვებმა, მოციქულების წინააღმდეგობის მიუხედავად, მისგან კურთხევა მიიღეს.

რუსუდან გენებაშვილი (IX კლასი): *ჩემი აზრით, მსვლელობა დიდუბის ტაძრიდან სამების ტაძრამდე ძალიან კარგი იყო. დიდი მანძილის მიუხედავად, მონაწილეები არათუ არ დავღლილვართ, არამედ უფრო მეტ ძალას ვგრძნობდით. ეს იმიტომ, რომ ყველაფერი უფლის შემწეობით მოხდა. წმინდა, რომ ხშირად მოეწყოს ასეთი მსვლელობები. ლოცვას უდიდესი ძალა აქვს, ის ჩვენთვისაც კარგი იქნება და სხვა თანატოლებისთვისაც.*

ლაშა ბედენაშვილი (V კლასი, სტიქაროსანი): *ჩემი აზრით, მსვლელობა ძალიან კარგი იყო. ჩემთან ერთად მსვლელობაში სხვა სტიქაროსნებიც მონაწილეობდნენ. ძალიან კარგი იქნება, თუ ასეთი მსვლელობები კიდევ იქნება და მასში კიდევ უფრო მეტი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას.*

შოთა ბროკიშვილი (IX კლასი): *ვფიქრობ, რომ ამ მსვლელობით და უფლის შემწეობით, ჩვენი მოკრძალებული საქმე გავაკეთეთ. მართალია იყო მცირე გაუგებრობაც. მაგალითად, სამების ტაძარში არ იცოდნენ ჩვენი მსვლელობის შესახებ. მჯერა, რომ შემდეგ მსვლელობაზე, რომელშიც ისევ მივიღებ მონაწილეობას, ეს ხარვეზები გამოსწორდება. მოვუწოდებ თანატოლებს, რომ სამომავლოდ ყველა მათგანი შემოგვიერთდეს*

დავით ფერაძე (პედაგოგი, მსვლელობის ინიციატორი): *ერთობლივი მომლოცველობა იმ ახალგაზრდებისთვის და ბავშვებისთვის გადავწყვიტეთ, რომელთა დიდი ნაწილი უსაქმურობს, ეკლესიის გარეთ დგას ან მიდრეკილია ძალადობისაკენ და ასე შემდეგ. ამის გარდა, ბავშვებს სურდათ ლოცვა განსაცდელში მყოფი ერისთვისაც. მსვლელობაში იმაზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, ვიდრე მოველოდი. მიხარია, რომ მოდის ის თაობა, რომელიც ეკლესიას, რწმენას გამორჩეულ ადგილზე აყენებს და ამაში ჩვენს ეკლესიას და მის მამამთავარს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ამიტომ გვინდოდა, რომ ჩვენი მომლოცველი ბავშვები პატრიარქსაც დალოცა. იმედი მაქვს, რომ ღვთის შეწევნით შემდეგში ეს მადლი არ მოგვაკლდება.*

გიორგი გათენაშვილი
116-ე საჯარო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

პიონერფილმი – 50

ყველაზე ახალგაზრდა კინოაკადემიის

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სტუდია „პიონერფილმი“ იუბილესათვის ემზადება. ერთი შეხედვით, ეს არ იგრძნობა, ვითარება სტუდიაში, ჩვეულებისამებრ, საქმიანია. თუმცა, ფართო, მაღალჭერიან ოთახში, თვალსაჩინო ადგილას დაშვებულ პლაკატზე სხვადასხვაფერი პასტით გაკეთებული ხელმოწერები, სათაურით *„ჩვენ მზად ვართ, გავხსნათ ჩვენი ვარსკვლავი“*, სწორედ ამ სამზადისის ნიშანია. სტუდიის საინტერესო ცხოვრების ამსახველი დიდი ალბომიც ახალი ჩანაწერებით ივსება: *„პიონერფილმი“ ჩემი უგედნიერესი გავშვობაა“; „მსოფლიოს საუკეთესო სტუდია და ჩემი გავშვობის ნათელი წერტილი. ჩვენზე კარგ დროს არავინ არ ატარებდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით“; „ყველაზე ტრადიციულ, ახალგაზრდულ კინოაკადემიას ვუსურვებ მუდმივ ახალგაზრდობას, განახლებას, განვითარებას...“* ამ სიტყვების ავტორთა მიერ, წლების წინ გადაღებული რამდენიმე ფილმი თავად ვნახე. 2-3-წუთიან ფილმებში ჩვენი ქვეყნის ბოლო 20-წლიანი ისტორიის ტრაგიკული მონაკვეთები დიდი სევდითა და განცდით, სხვადასხვა მეტაფორული ხერხითაა გადმოცემული. უკვე მზადაა **სალომე პოპიაშვილის საიუბილეო ფესტივალის ფილმი, დანარჩენები დღე-დღეზე დაასრულებენ თავიანთ ნამუშევრებს.**

ამ მშვენიერ სამყაროში, საქმისა და ბავშვების სიყვარულში, 35 წელი გაატარა სტუდიის ხელმძღვანელმა, ბატონმა გრიგოლ ჩიგოგიძემ. ამიტომაც ვთხოვეთ მას, თუნდაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტის გახსენებით, იუბილარი სტუდიის შესახებ მოეთხრო ჩვენი მკითხველისათვის.

50-ე წელი იწურება მას შემდეგ, რაც პიონერთა სასახლეში, სტუდია „პიონერფილმში“ გადაღებული პირველი ფილმის „ჩვენ მეგობრები ვართ“ პრემიერა შედგა. სტუდიის დამფუძნებელი იყო სასახლის მაშინდელი დირექტორი **შალვა ბერიანიძე**, ხოლო პირველი ხელმძღვანელი – ჟურნალისტი **გულბათ აბელიშვილი**. მე მაშინ VII კლასის მოსწავლე ვიყავი. სტუდიის წევრები იყვნენ დღეს უკვე ცნობილი ადამიანები: **ზეზვა ღუღუნიშვილი, ჯემალ ნინუა, თამაზ ხუციშვილი, ნესტან ჭელიძე, ნანა თარგამაძე, მანანა აბრამიშვილი, მერაბ ოდიშარია**... ეს იყო „პიონერფილმის“ პირველი თაობა, რომელსაც არასოდეს დაავიწყდება კინოს სამყაროში გადადგმული პირველი ბავშვური ნაბიჯები, ბატონ გულბათისა და ქალბატონ **თათია პაიჭაძის** გულისხმიერება. მე მანამდე ნორჩ მექანიკოსთა წრეზე დავდიოდი, ფილმების გაშვებას ვსწავლობდით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეკრანზე ჩვენ მიერ გაშვებული მოძრავი კინო ვნახეთ. ძალიან საყვარელი და საინტერესო ადამიანის, **კამო კოჭლამაზაშვილის** ხელმძღვანელობით.

ეს იყო 1957-59 წლები.

* * *

სკოლის დამთავრებისთანავე ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ჟურნალისტობა. პატარა კინოკამერით 40-მდე ქვეყანა მოვიარე, უამრავი გადაცემა და რეპორტაჟი მაქვს გაკეთებული. როცა 1976 წელს სასახლის მაშინდელმა დირექტორმა, **ზურაბ ლომიძემ** „პიონერფილმში“ დაბრუნება შემომთავაზა, უყოყმანოდ დავთანხმდი. მახსოვს, პედაგოგის ხელფასი მაშინ 28 მანეთი იყო. თუმცა, ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული, დირექციის მხარდაჭერა და ბავშვების ნიჭიერება ყოველგვარ მატერიალურზე მაღლა დგას.

* * *

მახსოვს, ერთხელ **გიორგი ალექსიშვილმა** ორი სცენარი მოიტანა. ხომ იცით, ყველა ბავშვი თავისებურია, ზოგი – გამორჩეულად უცნაური. გიორგის სცენარები, ერთდროულად, მაზოხისტურ-დისიდენტურ-ანარქისტული იყო. ერთს „ოცნება“ დავარქვი. ბავშვი მთელ ღამეს ოცნებაში ატარებს – ხვალ პიონერთა რიგებში უნდა მიიღონ. მეორე დღეს, ლენინის მუზეუმში, წითელ ყელსახვევს გაუკეთებენ. სახლში დაბრუნებული ხედავს, ქუჩაში ბოშა საღეჭ რეზინას ჰყიდის, მას კი ფული არ აქვს. იხსნის ყელსახვევს და უცვლის საღეჭ რეზინში. ამ ფილმმა კინომოყვარულთა ფესტივალის მთავარი პრიზი აიღო.

გოგისვე სცენარით გადავიღეთ 2-წუთიანი ფილმი, სახელწოდებით „ქილა“. ერთი შეხედვით, ამ ფილმში განსაკუთრებული თითქოს არაფერი იყო – გოგონა და ბიჭი ბაღში სხედან. მოულოდნელად გამოგორდება ქილა, რაც მათი გაცნობის მიზეზი ხდება. ფილმი მოსკოვში, საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გავაგზავნეთ. სექტემბერში, ფესტივალის დახურვაზე ავტორი და ხელმძღვანელი მიგვიწვიეს. როგორც წესი, დაგვიანებით მივედით, დიდი მოლოდინიც არ გვქონდა და ამიტომ, როცა IV, III, II ადგილები გამოაცხადეს, ავდექით და ის იყო, დარბაზი უნდა დაგვეტოვებინა, რომ გვესმის – *„ფესტივალის მთავარი პრიზი მიენიჭა სტუდია „პიონერფილმის“ ნაწარმოებს „ქილა“, საქართველო, თბილისი“*. ეს დიდი გამარჯვება იყო, რადგან ფესტივალში უამრავი სტუდია მონაწილეობდა, ჟიურის შემადგენლობაში კი სსრკ არტისტები და რეჟისორები იყვნენ. ჩვენი წარმატების საიდუმლო იმაში იყო, რომ ქართული თემაცა და გადაწყვეტაც ორიგინალობით გამოირჩეოდა, ყველა დანარჩენი ფილმი შაბლონურ, საბჭოურ სიუჟეტებზე იყო – ჩემი სკოლა, პიონერთა ბანაკი, სამხედრო-პატრიოტული აღზრდა... სწორედ ამ თემებისგან გამოირჩეოდა ჩვენი ბავშვების შემოქმედება.

* * *

მოსკოვის ფესტივალის შემდეგ მთელმა საბჭოთა კავშირმა გაგვიცნო. ამის შემდეგ ერთ-ერთ ფესტივალზე, ჩემი მანქანით, ბავშვებთან – **ლევან დადიანთან** და **ემზარ ცუცქირიძესთან** ერთად, ვლადიკავკაზში გავემგზავრეთ. ჩვენმა ფილმმა იქაც წარმატება მოიპოვა. მაშინ დამებადა იდეა, თბილისშიც ჩაგვეტარებინა მსგავსი ფესტივალი. სასახლის დირექტორმა, **თემურ ჟღენტმა** მოიწონა იდეა და ყოველმხრივ დახმარებას დაგვპირდა. აქვე ვიტყვი, რომ სასახლის ყველა დირექტორი ყოველთვის მხარში ედგა „პიონერფილმს“ და ყოველმხრივ გვეხმარებოდა. ასეა ახლაც. გაზეთ „პიონერსკაია პრავდასთან“ ყოველთვის ვმეგობრობდით, ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. ჰოდა, ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, პირველ რიგში, მათ ვაცნობეთ. გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას, თბილისში ფესტივალის ჩატარების თაობაზე, მთელი საბჭოთა კავშირიდან გამოეხმაურნენ, უამრავი წერილი მივიღეთ. მათგან მხოლოდ 200 შევარჩიეთ და მათი მიღებისა და დაბინავების საკითხიც გადავწყვიტეთ – კომაროვის სკოლა-ინტერნატი. ფესტივალის გახსნამდე ორი კვირით ადრე მოსკოვის კინემატოგრაფიის კომიტეტიდან დაგვირეკეს და გვაცნობეს, უცხოელებსაც სურთ მონაწილეობა და თუ მიიღებთო. 1979 წელს ეს არ იყო იოლი საქმე, შევცბით, დიდი ძალისხმევით დავჯავშნეთ სასტუმრო. ისეთი ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ, არასოდეს შეხება რომ არ გვქონია – არგენტინიდან, ფინეთიდან, ამერიკიდან, გფრ-დან, ნორვეგიიდან. ვნახეთ მათი გადაღებული ფილმები. ფესტივალმა ტრიუმფით ჩაიარა. როგორც მაშინ გავიგეთ, იქ სულ სხვა სისტემა მუშაობს, სხვა ტრადიციაა, ჩვენნაირი მიდგომა ხელოვნების ამ დარგისადმი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის (ბევრ ქვეყანაში თავად ვარ ნამყოფი და ვიცი, ასე ჩამოყალიბებული, სტაბილური სტუდია არსად არ არის). იქ შეიძლება ნებისმიერი პროფესიის პენსიონერმა მოკიდოს ამ საქმეს ხელი, შეკრიბოს უბნის ბავშვები და გარკვეული პერიოდულობით ამეცადინოს.

ამის შემდეგ არც ერთი ფესტივალი არ გამოგვიტოვებია, ხან ჩამოგვაქვს პრიზები, ხან არა, მაგრამ ვეცნობით სხვათა შემოქმედებას და ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. 1966 წელს, ავსტრიაში, კინომოყვარულთა ფესტივალზე, სადაც 25 ქვეყნის 175 ფილმი მონაწილეობდა, „პიონერფილმში“ შექმნილმა ფილმმა „ზოოპარკი“ „ოქროს დათუნია“ დაიმსახურა. სამწუხაროდ, ფილმის სიუჟეტი დღესაც აქტუალურია... ზოოპარკის გალიებს ხსნიან და ათავისუფ-

ПИОНЕРФИЛМИ – 50

ყველაზე მნიშვნელოვანი კადრები

ლებენ ცხოველებს (ე.ი. ბავშვებს). სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მუსიკაზე მღერიან და ცეკვავენ თავისუფლებით ბედნიერები. მოულოდნელად ვიღაცის ხელი აურ-დაურევს აწყობილ კუბიკ-რუბიკს და მხიარულებას მყისვე შეცვლის ჩხუბი და აყალ-მაყალი – ძვირად დაუჯდათ საცოდავ მხეცებს თავისუფლება და გარედან ჩარევა.

* * *

იმ პერიოდში, სსრკ-ში, 2500-ზე მეტი ასეთი სტუდია, უამრავი პიონერთა სასახლე, ნორჩ ნატურალისტთა და ტექნიკოსთა სადგურები და შემოქმედებითი სტუდიები იყო. მაშინდელი უმაღლესი ჯილდო – ჯერ საქართველოს ლენინური პრემია, ხოლო შემდეგ საკავშირო ლენინური პრემია – მხოლოდ ჩვენს „პიონერფილმს“ მიენიჭა. პრემია სადღესასწაულო საღამოზე, მოსკოვში **როლან ბიკოვმა** გადმოგვცა. ჩვენი დელეგაცია სამი ბავშვისგან შედგებოდა: **თეა ჯეჯელავა** (დღეს უკვე რეჟისორი), **კახა ფირალიშვილი** (კინომენეჯერი) და **ლაშა ჟვანია** (ეკონომიკის მინისტრი). ერთმანეთზე ნიჭიერი ბავშვები იყვნენ. საკავშირო ტელევიზიამ საგანგებო სიუჟეტი მიუძღვნა ამ ფაქტს. ჯილდოს ფულადი პრემიაც ახლდა, მაგრამ, ვიდრე ფული ჩაგვერიცხებოდა, ჩერნობილის ტრაგედია მოხდა და მთელი თანხა იმ ფონდში გადაირიცხა.

ეს იყო 1987 წელი.

* * *

მთავარი განსხვავება, ქართველ და უცხოელ ბავშვებს შორის, თემატიკაშია. კარგა ხანია, ჩვენთან სოციალურ თემაზე შექმნილი ფილმები სჭარბობს. ადრე **რეზო ინანიშვილის, ანდრეი ჩუკოვსკის, იაკობ გოგებაშვილის** მიხედვით იღებდნენ. 1988 წელს პუშკინის 200 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა და „მებადური და ოქროს თევზის“ მიხედვით გადაღებულმა ფილმმა, 200 საკონკურსო ფილმს შორის, I ადგილი აიღო, სპეციალური პრიზი პუშკინის მუზეუმმაც გადმოგვცა. ამ ბოლო ხანებში კი ბავშვებს ისეთი სიუჟეტები მოაქვთ, რომ ვერაფერს ვიგებ, თუმცა, რაკი მათი სურვილია, ფილმს მაინც ვიღებთ. ახლაც გვაქვს ორი ასეთი სცენარი, ორივეს გადავიღებთ, ვინ იცის, იქნებ ეს საკუთარი „მეს“ პოვნისკენ გადადგმული ნაბიჯია?! ასეთი მაგალითები ხომ უხვადაა ხელოვნების ისტორიაში. სხვათა შორის, პირველი ნაბიჯები სწორედ „პიონერფილმში“ გადადგეს ახლა უკვე ცნობილმა ჟურნალისტებმა: **თამარ ღვინიანიძემ, ნინო შუბლაძემ, თამარ კვერნაძემ** და სხვებმა. ერთხელ **გოგი დოლიძემ** თქვა, თეატრალური უნივერსიტეტი „პიონერფილმის“ ფილიალიაო. ბუნებრივია, სასიამოვნოა ასეთი შეფასება. ჩვენი ხშირი სტუმრები არიან ცნობილი რეჟისორები: **რეზო ჩხეიძე, მერაბ კოკოჩაშვილი** და სხვები. მათი საუბრები კინოთი დაინტერესებული მოზარდებისთვის ძალზე სასარგებლოა. სხვათა შორის, რეჟისორები თავიანთი ფილმების საჩვენებლადაც მოდიან ჩვენთან და ბავშვების პირუთვნელ მოსაზრებებსაც ისმენენ.

* * *

ყველაზე ლამაზი და ფოტოგენური შენობა თბილისში ჩვენი სასახლეა. ძირითადად, აქ ვიღებთ ყველაფერს, თუ გასვლა დაგვჭირდა, სასახლის ტრანსპორტს ვიყენებთ ან თავად მივდივართ. აი, ამ მაგიდის ირგვლივ ვიკრიბებით და რომელიმე ბავშვის იდეაზე სცენარს ვწერთ, ყველა გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და მიგვყავს იმ კონდიციამდე, როცა უკვე შესაძლებელია გადაღების დაწყება. ჩაპლინის გამონათქვამი – *„ფილმი მზად არის, დარჩა მხოლოდ გადაღება“* – ბავშვებმა კარგად იციან და ფილმის გადაღებისთვის საჭირო ყველა ნიუანსის გათვალისწინებით, გადაღებისთვის ემზადებიან.

* * *

ვერ ვიტყვი, რომ ამ ბავშვებს ბევრ რამეს ვასწავლი. მე არც **სერგეი გერასიმოვი** ვარ და არც **ჩარლი ჩაპლინი**. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ კარგად ვიცი ჩემი საქმე. სასახლეში რომ მუშაობ, პირველ რიგში, კარგი პედაგოგი უნდა იყო, ბავშვის უნდა გესმოდეს, უნდა ცდილობდე, დაეხმარო მას, ისწავლოს საკუთარი გრძნობების, აზრების თავისუფლად და გასაგებად გამოხატვა, იმ „წამის“ შეგრძნება და დაჭერა, რომელიც აღარასდროს განმეორდება. ამიტომ ვამბობ, რომ შეიძლება ძალიან დიდმა რეჟისორმაც ვერ გააკეთოს ის, რასაც პედაგოგები: **სვეტა მარჯანიშვილი, ქეთინო პატარაია, მარიკა თოფურია, ვახტანგ ჯოჯუა** და სხვები აკეთებენ. ჩვენთან პირველკლასელებიც კი მოდიან, ისინი თავიდანვე უნდა დაინტერესო არა მარტო კინოთი, ზოგადად, ხელოვნებით. ბავშვებს ერთფეროვნება სწყინდებათ, ამიტომ ხშირად ვთავაზობთ სხვადასხვა ხასიათის გასართობ ღონისძიებებს. ახლა „პიონერფილმში“ 80-მდე სხვადასხვა ასაკის, გემოვნების, ინტერესების მქონე მოზარდი დადის. ჩვენი ვალია, ყველა მათგანისთვის ერთნაირად საინტერესო იყოს სტუდიაში გატარებული დრო. შარშან, მაგალითად, ფოტოგამოფენა გავაკეთეთ „გაიღიმეთ, ჩიტი გამოფრინდება“ – ჩვენი სტუდიის წევრები იღებდნენ სასახლის პედაგოგებს ერთადერთი მოთხოვნით – „გაიღიმეთ“. არაჩვეულებრივი გამოფენა გამოვიდა.

* * *

სწორედ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სტუდია „პიონერფილმის“ საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებების დამსახურებაა, რომ 1998 წელს საქართველო იუნესკოსთან არსებულ მსოფლიოს კინომოყვარულთა საზოგადოების – „უნიკა“ – 37-ე წევრი ქვეყანა გახდა.

* * *

საიუბილეო ზეიმი მაისის ბოლოს – 28-29-30 მაისს გაიმართება. ტრადიციულად, ჩატარდება კინომოყვარულთა X ფესტივალი „თბილისური აისი“. სიძნელეების მიუხედავად, ნახევარსაუკუნოვან იუბილეს „პიონერფილმი“ ლამაზად და ორიგინალურად გადაიხდის, აუცილებლად გვეყოლებიან სტუმრები, ჩვენი ძველი და ახალი მეგობრები. მართალია, საქართველოში საგრძნობლად შემცირდა მსგავსი სტუდიების რაოდენობა, მაგრამ, სადაც დარჩა, გვინდა ყველას მივაწვდინოთ ხმა, მონაწილეობა მიიღონ ფესტივალში და, შესაბამისად, საიუბილეო ზეიმში. ახლა ხომ გაცილებით იოლია ფილმის გადაღება, ვიდრე ათეული წლების წინ. ნუ დაიზარებთ, შემოგვიერთდით საერთო ზეიმში!

1 ივნისს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, საიუბილეო სხდომა გაიმართება, რომელიც სასახლის წინ „პიონერფილმის“ ვარსკვლავის გახსნით დასრულდება.

მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა

მამები დიდი შვილებისა

ასე მგონია, ჩემი მოთხრობებიდან მესტუმრნენ

[illegible]

მწერალი და ლიტერატურათმცოდნე **ნოდარ გრიგალაშვილი** ასე აცოცხლებს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის **დავით კლდიაშვილისა** და მისი მამის, აზნაურ **სამსონ კლდიაშვილის** სახეს: *„ჩვენი საუკუნის* (იგულისხმება XX საუკუნე მ.მ.) *30-იანი წლებია. სიმონეთში, მამა-პაპეულ სახლში ზის ორი მოხუცი –მამა და შვილი სამსონ და დავით კლდიაშვილები და ისიზმრებენ წარსულს. მამა უფრო ყინჩად არის, უფრო იმედიანად, მხიარულად. დავითი ჯანგატეხილია, მოწყენილი, მარტოობით შეწუხებული. დრო და დრო დავითი სამსონისა და მისი ძველი მეგობრების საუბარს უგდებს ყურს და ერთობა ძველი ტიპიური აზნაურების ტრაბახით“* (ნ. გრიგალაშვილი, სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები. თბ. 1990, გვ.142).

სამსონი თვითონ ჰგავდა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებიდან გადმოსულ პერსონაჟს. უაღრესად თავისებური და კოლორიტული. *„სამსონი დიდად მომლხენი, ჭკვიანი, მოხერხებული და თავისქეიფა კაცი ყოფილა. ერთხელ ქუთაისში ბულვარში სასეირნოდ გამოსულს თავისი ყოფილი უფროსი დაუნახავს, რუსი ჩინოვნიკი, რომელმაც სამსონი სამსახურიდან გაათავისუფლა. დატაკებია აზნაური კლდიაშვილი ჩინოვნიკს, ჩამოუგდია ფეხქვეშ. ყვირილზე პოლიცია გამოქცეულა, მიბეგვილი უფროსი ზემოდან შემოუგდია და ახლა თვითონ მოურთავს ყვირილი, არიქა, მიშველეთ, მომკლაო. საჩივარიც იქით აღუძრავს „დაზარალებულ“ სამსონს და მისი ყოფილი უფროსი ქუთაისიდან გაუძევებიათ“* (იქვე).

თვითონ მწერალი ასე ახასიათებდა მშობელს: *„იცოდა ლამაზი როგორც ქართული, ისე რუსული წერა, მუყაითი, მოხერხებული, კარგად გაუძღვა თავის სამსახურს, და ცოცხალმა, ლამაზმა, კოლეჟსკი რეგისტრატორის ჩინით დაჯილდოებულმა ყმანწვილმა იმდენი მოახერხა, რომ თავი მოანონა მდიდარ მებატონეს და შეირთო მისი ერთადერთი ქალიშვილი ცოლად“* (დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, მოთხრობები, 1961, გვ. 11).

სამსონი ქუთაისში მუშაობდა და თავისი სოფლელებისადმი ყოველთვის ყურადღებიანი იყო, რამაც მას თანასოფლელთა დიდი სიყვარული მოუტანა. ის ასევე უყვარდათ თავის უფროსებსაც. *„მამაჩემს ძლიერ ეხმარებოდა მაზრის უფროსი, რომელსაც მეტად უყვარდა მშრომელი, დაუღალავი, ცოცხალი მოხელე“* (იქვე, გვ. 18).

დავითის ვაჟი, ცნობილი მწერალი **სერგო კლდიაშვილი** შენიშნავს, რომ სამსონს *„სოფელში დიდ პატივს სცემდნენ. ის ყველას გამკითხავი და ხელშემწყობი იყო. როცა სოფელში რამე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას განიზრახავდნენ, უპირველეს ყოვლისა, სამსონს მიმართავდნენ რჩევისათვის“* (ს. კლდიაშვილი, დავით კლდიაშვილის ცხოვრება, გვ. 427).

[illegible]

დავითი გარეგნულად ძალიან ჰგავდა მამას. უცაბედად რომ შეგეხედათ დავითის მამისათვის, სამსონისათვის, დავითისაგან იქნებ ვერც კი გაგერჩიათ. სახით ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. *„ბაბუა სამსონი ღრმად მოხუცი მახსოვს. ყოველთვის მხნე, მოძრავი, მოუსვენარი“* (ს. კლდიაშვილი, დასახ. წიგნი; გვ. 427).

1908 წელს დავით კლდიაშვილს გარდაეცვალა დედა. სამსონმა მალე მეორე ცოლი შეირთო, რაც დავითისათვის ძნელი გადასატანი აღმოჩნდა და გარკვეული

მეთოდიკა

ბიოლოგიის გაკვეთილი. IX კლასი

გაკვეთილის თემა: ვიტამინები.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ზოგიერთი ვიტამინის დახასიათება, გაეცნონ მათ ფუნქციებს, გააცნობიერონ ვიტამინების მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.

გამოყენებული მასალა: თაბახის ფურცლები, ცხრილი, სქემა, ფურცლები დაბეჭდილი ტექსტებით.

გაკვეთილის დრო: 45 წთ.

გაკვეთილის მსვლელობა

მოსწავლეებს ვთხოვ, გაიხსენონ, თუ რომელი ნივთიერებები ესაჭიროება ადამიანის ორგანიზმს ნორმალური ფუნქციონირებისათვის (მოსწავლეები დაასახელებენ ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მარილებს, წყალს, ვიტამინებს. თუ ვიტამინები ვერ გაიხსენეს, დავეხმარები კითხვების მეშვეობით, მინიშნებებით) (1 წთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ვკითხავ, თუ რა იციან ვიტამინების შესახებ. იმართება დისკუსია (2წთ.).

კლასს მივმართავ, რომ დღეს სწორედ ვიტამინების შესახებ გვექნება საუბარი. ვიტამინები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმს მცირე რაოდენობით ესაჭიროება, თუმცა, მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც ორგანიზმში მრავალ მნიშვნელოვან პროცესს არეგულირებენ. ტერმინი ვიტამინი, რომელიც ითარგმნება როგორც „სასიცოცხლო ამინი“ – შემოიღო ფუნკმა 1917 წელს. ვიტამინები ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, მათი უმრავლესობა ამინოჯგუფს შეიცავს, თუმცა ყველა მათგანი – არა. დღეისათვის 25-ზე მეტი ვიტამინია ცნობილი და სიმარტივისთვის მათ ლათინური ასოებით აღნიშნავენ: A, B, C, D, E, K და ა.შ.

ვიტამინების უმრავლესობა ორგანიზმში საკვებთან ერთად ხვდება. ვიტამინები ორგანიზმში მრავალ ფუნქციას ასრულებენ, მათი ნაკლებობა ავიტამინოზის სახელითაა ცნობილი, ხოლო მომატებული რაოდენობა – ჰიპერვიტამინოზის (3 წთ.). საუბრის შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ წინასწარ მომზადებულ ტექსტებს, სადაც გადმოცემულია ინფორმაცია ვიტამინების შესახებ (სასურველია, თითოეულმა ჯგუფმა ორი ვიტამინი დაახასიათოს), და ცხრილს, რომელიც ჯგუფმა ტექსტის ანალიზის შემდეგ უნდა შეავსოს.

ვიტამინი	ფუნქცია	ავიტამინოზით გამოწვეული სიმპტომები	აღნიშნული ვიტამინით მდიდარი საკვები
1.			
2.			

(10 წთ.)

პრეზენტაციები – 10 წთ.

მოსწავლეებს დასამუშავებლად შემდეგ ინფორმაციას ვთავაზობ:

1) ვიტამინი A – აუცილებელია ზრდისთვის, ხელს უწყობს უჯრედების გამრავლებას, ანელებს დაბერების პროცესს. A ვიტამინის ნაკლებობისას ვითარდება დაავადება, რომელიც „ქათმის სიბრმავის“ სახელითაა ცნობილი. ასეთი ადამიანები ცუდად ხედავენ შებინდებისას. ბავშვებში A ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ზრდის შეფერხებას, კბილების და თმის დაზიანებას, ზიანდება ფილტვები და ნაწლავები.

A ვიტამინით მდიდარი საკვებია: ხორცი, რძე, ღვიძლი, თევზის ქონი, კვერცხის გული, სტაფილო, პომიდორი, წითელი წიწაკა.

2) ვიტამინი C – ასკორბინის მჟავა არეგულირებს ორგანიზმის ჰორმონალურ ფუნქციებს, განვითარების პროცესებს, ზრდის ორგანიზმის მდგრადობას ინფექციური დაავადებების მიმართ. C ვიტამინის ნაკლებობისას ვითარდება დაავადება, სახელწოდებით „ცინგა“. ამ დაავადების სიმპტომებია: ღრძილებიდან სისხლდენა, კბილების ჩამოცვენა, სისხლძარღვების კედლების დაზიანება, სახსრების ტკივილი, ანემია, ზოგადი სისუსტე.

C – ვიტამინით მდიდარი საკვებია: ასკილი, კომბოსტო, კარტოფილი, ოხრახუში, ხახვი, ნიორი, შავი მოცხარი, ციტრუსები.

3) ვიტამინი D – არეგულირებს ორგანიზმში კალციუმისა და ფოსფორის ცვლას. წარმოიქმნება ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენით კანში.

D ვიტამინის ნაკლებობისას ბავშვებში ვითარდება დაავადება რაქიტი. რაქიტის დროს ძვლებში მარილების შემცველობა შემცირებულია, ამიტომ ფერხდება ზრდა, ჩონჩხი არასწორად ვითარდება, მრუდდება ფეხები, თავის ქალა დიდი ზომისაა, შეცვლილია გულ-მკერდის ყაფაზი, ბავშვს გადიდებული აქვს მუცელი.

ზრდასრულ ასაკში D ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ძვლების „დარბილებას“, რაც ხშირი მოტეხილობების მიზეზი ხდება.

D ვიტამინით მდიდარი საკვებია: კარაქი, ნაღები, კვერცხის გული, ღვიძლი, თევზის ქონი.

4) ვიტამინი E – ზემოქმედებას ახდენს სასქესო და ენდოკრინულ ჯირკვლებზე, აუცილებელია სხვა ჯგუფის ვიტამინების შესათვისებლად, არეგულირებს ენერგეტიკულ ბალანსს.

E ვიტამინის ნაკლებობისას ვითარდება უშვილობა, კუნთების დისტროფია (განლევა).

E ვიტამინით მდიდარი საკვებია: არაქისი, მცენარეული ზეთები (ზეითუნის, სიმინდის, მზუსმზირის), ბოსტნეულის მწვანე ნაწილები, კვერცხი.

5) ვიტამინი K – არეგულირებს სისხლის შედედების პროცესს. K ვიტამინის ნაკლებობისას ვითარდება სისხლდენები, განსაკუთრებით ცხვირიდან.

K ვიტამინით მდიდარი საკვებია: სოიოს ზეთი, ღვიძლი, კაკალი, სალათის ფურცლები, არაქისი.

K ვიტამინი აგრეთვე წარმოიქმნება ნაწლავში ნაწლავის ბაქტერიების მეშვეობით, ამიტომ, ჰიპოვიტამინოზი შესაძლოა ანტიბიოტიკების ხანგრძლივად მიღების შედეგადაც განვითარდეს.

შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზებ შეადგინონ საკუთარი დღიური რაციონი ისე, რომ მიიღონ ყველა საჭირო ვიტამინი, ასევე გაითვალისწინონ, რომ საკვები უნდა შეიცავდეს ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს (რაციონის შედგენისას მოსწავლეები არ ითვალისწინებენ კონკრეტული ვიტამინების და სხვა საკვები ნივთიერებების რაოდენობრივ მახასიათებლებს. მთავარია, რაციონი ისე იქნას შედგენილი, რომ საკვები შეიცავდეს ყველა შესწავლილ ვიტამინს, ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს) (5 წთ.)

პრეზენტაციები – 10 წთ.

გაკვეთილის შეჯამების მიზნით, მოსწავლეებს შევთავაზებ, ინდივიდუალურად შეასრულონ შემდეგი დავალება: ხაზებით დააკავშირონ შესაბამისი ვიტამინი მის ფუნქციასთან.

მასს გამრავლეგის ვიტამინს უწოდეგენ	A	C	მონაწილეოგს სისხლის შედედეგაში
	D	E	
კარგია მხედველოგისთვის			მონაწილეოგს კალციუმისა და ფოსფორის ცვლაში
	K		

სტიმულს აძლევს იმუნურ სისტემას.

დავალებას შევამოწმებ ფრონტალური კითხვების საშუალებით (1 წთ.).

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ ჩვენ ყველა ვიტამინი არ განგვიხილავს, არსებობს B ვიტამინების დიდი ჯგუფი, რომლებიც განაპირობებენ ნერვული სისტემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კუნთების ნორმალურ ფუნქციონირებას. მოსწავლეებს ვთხოვ, შემდეგი გაკვეთილისთვის მოიძიონ ინფორმაცია B_1, B_2, B_6 და B_{12} ვიტამინების შესახებ და წარმოადგინონ პრეზენტაციის სახით.

ნატა ბიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

მამეები დიდი შვილებისა

ხნის მანძილზე მამა-შვილს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, მაგრამ მალე მას მეორე ცოლიც გარდაეცვალა და დავითმაც გული მოიბრუნა მოხუც მამაზე.

სამსონის დაუდეგარი, უცნაური ბუნება ვერ ეგუებოდა ძველი დიდებისა თუ კუდაბზიკობის ერთგვარ დაკნინებას. ამაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: *„როცა სამსონი გარდაიცვალა, მის ქაღალდებში ვიპოვეთ დავითის წინააღმდეგ დაწერილი საჩივარი მიმართვით: „უმაღლეს მთავრობას“. საჩივარი ასე იწყებოდა:*

„შვილმან ჩემმან ოტსტავნოი პოლკოვნიკმა დავით კლდიაშვილმან“.

სამსონი ჩიოდა, რომ ადგილ-მამული გაუზომეს და მიწა ჩამოართვეს შვილის მიზეზით. რა შუაში იყო აქ დავითი? უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო ჩვენში, მაგრამ სამსონი ამას ანგარიშს არ უწევდა.

მამამ რომ წაიკითხა, გაეღიმა.

– რა მშვენივრად დაუწერია, – მოსწონდა დავითს, – საცოდავი მამაჩემი ნიჭიერი კაცი იყო. დავითს მაინც უყვარდა ის და მკვდარს მწუხარებით დასტიროდა“ (ს. კლდიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 423).

და მაინც, დავით კლდიაშვილისათვის მამამისი იმ პერსონაჟებს ჰგავდა, რომელთა გამოქანდაკებას მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. ამიტომაც სიამოვნებდა მისი საუბრის მოსმენა და თვითონაც მოხუცებული თავს ბედნიერად გრძნობდა, როცა მამის ბუნება მისთვის კიდევ ერთხელ ხდებოდა ხელშესახები. ამ მხრივ ძალზე საყურადღებო და შთამბეჭდავია სერგო კლდიაშვილის ერთი მოგონება, რომელშიც კარგად ჩანს დიდი მწერლის დამოკიდებულება მამისადმი, რომელიც ამავე დროს მისთვის საინტერესო იყო, როგორც ტიპი იმ საზოგადოებისა, რომელსაც მწერლის ფიქრი უტრიალებდა: *„დავითის მამას, ბაბუა სამსონს, სიმონეთში ძველი მეგობარი ესტუმრა, მაღალი, ტანწვრილი, გრძელწვერა აზნაური, ჩოხა ქამართან გაცრეცილი, რუსული ჩექმები, ქამარი ოდესღაც ვერცხლით მოჭედილი ჰქონია. ახლა უმეტესად ტყავი დარჩენილა.*

მრავალი წელიწადია ბაბუა და მისი სტუმარი ერთმანეთს იცნობენ! წარსულში რამდენი ტკბილი დღე ახსოვთ!

ბაბუა სამსონი მეგობარს გვერდით უზის, უმასპინძლდება, ღვინოს უსხამს და უამბობს:

– არაფერი მაკლია ჩემო სიმონ... აქ შემომხედე, ხომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი? ჰო და, ახლა უფრო უკეთესად ვარ. სავსე ვარ ყველაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს თავისი ვენახის, ყანების, ციცქასა და კრახუნას ღვინით სავსე ქვევრების შესახებ. მეგობარიც ცდილობს გაახაროს ბაბუა სამსონი:

– ვერც მე დავემდურები ღმერთს, ჩემო სამსონ, შვილებმაც ძალიან შემიწყეს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გესიამოვნება. ასი კაცი რომ უეცრად მესტუმროს, მეზობლისას ერთი ჭიქის სათხოვნელადაც არ დამჭირდება გადასვლა, მე გეტყვი, არ მაქვს. ორივე დიდხანს ტრაბახობს, სვამენ ერთმანეთის სადღეგრძელოს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კმაყოფილ ცხოვრებას.

– დათიკო, დაღლილი ხარ, მოისვენე! – ეუბნება ნასადილევს დედაჩემი.

– ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს! არ დგება მამა, ასე მგონია ჩემი მოთხრობიდან მესტუმრნენ!..

დახრილი თავი გრძელი თითების სვეტებზე დაუდვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს“ (ს. კლდიაშვილი, დასახ. წიგნი, იქვე).

საოცარი სურათია... მართლაც ჰგავს ეს ეპიზოდი დიდი მწერლის ნაწარმოებთა საერთო ქარგას, ხასიათს, თუნდაც იდეას. მისი პერსონაჟებიც ხომ სწორედ ასეთები არიან.

დავითს არ სჭირდებოდა თავისი ნაწარმოებების პროტოტიპების ძიება. ერთი ასეთი კოლორიტული სახე მას თავისივე ოჯახში ჰყავდა. ეს იყო მამამისი – სამსონ კლდიაშვილი, ტიპური აზნაური, ყოველგვარ დროსა და მდგომარეობაზე განზე მდგომი ადამიანი, რომლისთვისაც წარსული ქცეულიყო თავისი ცხოვრების მანუგეშებლად, თვითონაც, თითქოს წარსულში დარჩენილიყო და ახალ ცხოვრებას აინუნშიც არ აგდებდა. მისთვის ყველაფერი უწინდელი დროით განისაზღვრებოდა, ამიტომაც იყო საინტერესო და შთამბეჭდავი მისი კოლორიტული პიროვნება.

მურად მთვარელიძე

მეთოდიკა

სახალისო ცდები ქიმიაში

ვაგრძელებთ თქვენთვის ახალ-ახალი სახალისო ცდების შერჩევას ქიმიიდან

წყაროს ცივი წყალი ზაფხულის პაპანაქებაში

განიერ ქილაში ნახევრამდე ჩაასხით წყალი და შიგ გახსენით ამონიუმის ნიტრატის კრისტალები ნაჯერი ხსნარის დამზადებამდე. თქვენ დაინახავთ, როგორ დაიფარება ორთქლით ქილის კედლები გარედან. ეს გამოიწვია ქილის გაციებამ. ცივ ზედაპირზე ხომ ყოველთვის კონდენსირდება ჰაერში არსებული წყლის ორთქლი.

ჩადეთ მიღებულ ხსნარში დასალევად აღებული წყალი თხელკედლიანი ან მინის ჭიქით. რამდენიმე წუთში თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ „წყაროს“ ცივი წყლით.

დასალევი წყლის გაციების ამ მეთოდს ხშირად იყენებენ გლეხები მინდორში მუშაობის დროს. წყარო შორს არის. კოკაში კი წყალი ისე გათბა, რომ წყურვილს ვერ კლავს. თუ მინდორში ამონიუმნიტრატის სასუქი აქვთ, მას აუცილებლად გამოიყენებენ წყლის გასაცივებლად. თბილწყლიან კოკას ჩადგამენ სასუქის წყალხსნარიან ვედროში და რამდენიმე წუთის შემდეგ გამაცოცხლებელი ცივი წყალიც მზად არსი.

ერთი მოლი ამონიუმის ნიტრატის წყალში გახსნისას შთაინთქმება 6.32 კილოკალორია სითბო.

დარჩენილი ამონიუმის ნიტრატიანი ხსნარი არ გადაღვაროთ. იგი შეიძლება მცენარეების მოსარწყავად გამოიყენოთ ან ცეცხლზე დადგათ, ამოაშროთ და შეინახოთ შემდეგი გამოყენებისთვის.

ამოშრობისას სიფრთხილეა საჭირო, რათა მარილი აირებად არ დაიშალოს. როგორც კი გამხსნელის წყალი ამოშრება, გაცხელება მაშინვე უნდა შეწყვიტოთ. ოდნავ წყლიანიც კი უნდა იყოს და ბოლო წყლის წვეთები ჰაერზე უნდა ამოაშროთ ან კრისტალები ფილტრის ქაღალდით უნდა გააშროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამონიუმის ნიტრატი მთლიანად აქროლდება:



$$NH_4NO_3 = N_2+2H_2O+O_2$$

როგორც აღვნიშნეთ, ეს ცდა საკმაოდ მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით. ვინაიდან ამონიუმის ნიტრატის წყალში გახსნა სითბოს შთანთქმით მიმდინარეობს, მსგავსი ქიმიური გაცივებით ხელოვნური თოვლის მიღებაც შეიძლება. ადრე ასეც ღებულობდნენ მას, ოღონდ გარკვეული რეაქტივების დამატებით.

ამ ცდით კარგად ჩანს, რომ ხსნარი მარტივი ნარევი არ არის. უმეტეს შემთხვევაში გახსნილი ნივთიერება ქიმიურად ურთიერთქმედებს წყლის ნაწილთან და ხან ზრდის და ხან ამცირებს გამხსნელის დუღილის ტემპერატურას.

ახლა გაიხსენეთ გოგირდმჟავას წყალში გახსნა. მას დიდი რაოდენობით სითბოს გამოყოფა ახასიათებს.

ასევე სითბოს გამოყოფა ახასიათებს ზოგიერთი უწყლო მარილის წყალში გახსნასა და მის დაკრისტალებას. ამ პრინციპზეა დაფუძნებული „ქიმიური სათბურის“ მუშაობა. მას დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში, ავადმყოფებისთვის თბილი კომპრესის დასადებად. ეს არის რეზინის ბალიში, რომელიც ავსებულია ნატრიუმის ძმარმჟავა მარილის (ნატრიუმის აცეტატის) კრისტალჰიდრატის კრისტალებით. ბალიშს იქამდე ათბობენ, სანამ კრისტალჰიდრატი არ გადნება და არ გაიხსნება საკუთარ კრისტალიზაციურ წყალში. გათბობისას კრისტალჰიდრატი გარემოდან შთანთქავს სითბოს და იშლება უწყლო მარილად და წყლად.

გათბობის შეწყვეტის შემდეგ იწყება შებრუნებული პროცესი. უწყლო მარილი უერთდება კრისტალიზაციურ წყალს, დაკრისტალდება და უკან გამოყოფს იმ სითბოს, რომელიც თავდაპირველად მიიღო ბალიშის გათბობის დროს. პროცესი ხანგრძლივია და ბალიში დიდხანს ინარჩუნებს სითბოს.

თითქმის არ არსებობს ქიმიური რეაქცია, რომელსაც ადამიანი ვერ გამოიყენებს ამა თუ იმ დანიშნულებით. საჭიროა მხოლოდ ცოდნა და ფანტაზიის უნარი.

აღწერილი ცდები შესანიშნავი შესავალია იმისათვის, რომ მოსწავლეებს ესაუბროთ: ენდოთერმულ და ეგზოთერმულ რეაქციებზე; ფიზიკურ, ქიმიურ და ქიმიურ-ფიზიკურ მოვლენებზე. საინტერესოა ისიც, რომ ბუნებაში ურთიერთმომიჯნავე პროცესებში ზუსტი ზღვარის გავლება თითქმის შეუძლებელია, ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე რაღაც გარდამავალი. სწორედ ამის მაგალითია ხსნარები და გახსნა-დაკრისტალება. ისინი რაღაც შუალედურ რგოლს წარმოადგენენ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს შორის. მას სწავლობს მეცნიერება – ფიზიკური ქიმია.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობს კალციუმის ოქსიდის წყალში გახსნის დროსაც. ამიტომ ამ ცდასაც აქვე აღვწერ.

უცეცხლოდ კვერცხის მოხარშვა

ფაიფურის დიდ ჭიქაში ან თიხის ქოთანში ჩაყარეთ ერთი-ორი სუფრის კოვზი ჩაუმქრალი კირი CaO, შეიძლება ფხვნილის მაგიერ ნატეხების გამოყენება. დაადეთ ზედ უმი კვერცხი, დაასხით ნახევარი ჭიქა წყალი. ნარევი ისე გაცხელდება, რომ ჭარბი წყალი ადუღდება. ერთი მოლი ჩაუმქრალი კირის წყალში გახსნით 16 კილოკალორია სითბო გამოიყოფა:



$$CaO+H_2O=Ca(OH)_2+16 \text{ კკალ.}$$

ქოთანს დააცადეთ გაგრილება და ამოიღეთ კვერცხი. ნაჭუჭის გატეხვისა და მოცილების შემდეგ დარწმუნდებით, რომ „საუზმე“ მზად არის.

ახლა, კიდევ უფრო ეფექტური ცდა მინდა შემოგთავაზოთ.

ვულკანი სინჯარაში

წინასწარ გაამზადეთ, დაახლოებით, მინდვრის ლობიოს ზომის ნახშირისა და გოგირდის რამდენიმე ნატეხი და სასაგნე მინაზე დააწყეთ. შტატივზე ვერტიკალურად დაამაგრეთ სინჯარა. მასში ჩაყარეთ ერთი ჩაის კოვზი კალიუმის ნიტრატის KNO_3 ფხვნილი და ჩააგდეთ ერთი ნატეხი ნახშირი. სინჯარას შეუნთეთ სპირტქურა. მარილის გადნობისთანავე აინთება ნახშირი. სპირტქურა მოაცილეთ და სინჯარაში გოგირდის ნატეხი ჩააგდეთ. ცეცხლი უფრო გაძლიერდება. სინჯარაში ნახშირი და გოგირდი რიგრიგობით უმატეთ. ცეცხლი ისე გაძლიერდება, რომ შეიძლება სინჯარა გალღვეს. სანახაობა ნამდვილ ვულკანს მოგვაგონებს (შავი დენთის წვა).



$$2KNO_3+C+3S=K_2S+CO_2+2SO_2+N_2+Q$$

უსაფრთხოებისათვის სინჯარის ქვეშ, მაგიდაზე, ქვიშიანი ჯამი უნდა იდგეს. სინჯარის გალღობისა და ჩამოღვენთის შემთხვევაში მაგიდა არ დაიწვება.



ეს ცდა უამრავ თეორიულ მასალას შეგიძლიათ დაუკავშიროთ. მაგალითად, ესენია: აალების ტემპერატურა, რა არის საწვავი, რა როლი აკისრია გოგირდს ამ რეაქციაში და ასანთის წარმოებაში, რა მოვლენაა ვულკანი, როგორი მზადყოფნა უნდა იყოს იმ ქვეყნებში, სადაც ვულკანური მთები არსებობს და ა.შ. მასალა უზღვავია.

გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

+ 1°, ანუ „გაამწვანე“

„ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი მთით ბარამდე და მცირე ველოვანი.“
ვახუშტი ბაგრატიონი

თბილისის 144-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) გამოირჩევა მრავალი საინტერესო ეკოლოგიური პროექტით, ღია გაკვეთილით, სხვადასხვა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციით, სათემო ღონისძიებით, რისთვისაც რამდენჯერმე რესპუბლიკის მასშტაბით დაჯილდოდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო აპრილის თვეში VII^ა კლასში (დამრიგებელი – **ლატავრა პავლაძე**) ჩატარებული ღია გაკვეთილი ბიოლოგიაში (მასწავლებელი – **ლალი ედიბერიძე**), VII^ა კლასის სახელმძღვანელოში (ავტორები – **რამაზ გოხელაშვილი, ნინო ლაღიძე**) მითითებული დავალება აღნიშნულმა კლასმა ბრწყინვალედ შეასრულა, კერძოდ, მათ უნდა მიემართათ სკოლის მახლობლად მოქმედ ბუნებისდაცვითი ორგანიზაციებისათვის და მოეძიათ ინფორმაცია კრწანისის რაიონის ბიომრავალფეროვნების შესახებ. მოსწავლეებმა: **თამთა კარგარეთელმა, ანა მელქაძემ, მარიამ ღლონტმა, ნინო კაბულაშვილმა, ნანა ოსეფაშვილმა**, ბიოლოგიის მასწავლებელთან **ლალი ედიბერიძესთან** ერთად, მიმართეს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ **დიმიტრი ღლონტს**, გარემოს დაცვის ინსპექციის ანალიტიკური სამსახურის უფროსს, ქალბატონ **ელენე იაკობიძეს**, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, ქალბატონ **ნონა ხელაიას**, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკოგანათლების და ინტერპრეტაცი სპეციალისტს, ქალბატონ **ნატო სულთანიშვილს**, არასამთავრობო ორგანიზაციის „CENN“-ის ბიომრავალფეროვნების კოორდინატორს საქართველოში, ქალბატონ **ნინო გვაზავას**. მიღებული კონსულტაციების, მასწავლებლის და მოსწავლეების დაუღალავი შრომის შედეგი იყო აპრილში ჩატარებული საჩვენებელი ტიპის, შემაჯამებელი გაკვეთილი თემაზე „ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება“ სასკოლო პროექტის „გლობალური დათბობის“ ფარგლებში. სკოლის დირექტორთან ერთად, გაკვეთილს ესწრებოდნენ სტუმრები – გარემოს დაცვის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები: **ელენე იაკობიძე, ნატო სულთანიშვილი, მაია ჩხობაძე** (არასამთავრობო ორგანიზაცია „CENN“), **ნინო შავგულიძე**.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს გამოეხატათ, თუ რატომ დაინტერესდა მთელი მსოფლიო ბიომრავალფეროვნებით; რა საიდუმლო ინახება ამ ტერმინის მიღმა; რას ნიშნავს ბიომრავალფეროვნების კლება; კონსერვაცია; რა საფრთხეები შეექმნება დღეისთვის სიცოცხლეს დედამიწაზე? ამავდროულად აღწერა, დაკვირვება, ანალიზის და ჰიპოთეზის გამოთქმის უნარ-ჩვევების განვითარება. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ ეკოსისტემათა ერთიანობა ქმნის ბიოსფეროს. ბუნებრივ ეკოსისტემებს უნარი აქვთ დაგვიცვას ავადმყოფობისაგან, კლიმატის ცვლილებებისა და სტიქიური უბედურებისაგან.

მოსწავლეები ამ პრობლემით დაინტერესდნენ, მოიძიეს მასალები საინტერესო და მნიშვნელოვანი თემები წარმოადგინეს, გარკვეული ცოდნა შეიძინეს და თანატოლებსაც საჭირო ინფორმაცია მიაწოდეს. განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს მწვანე ნერგების დარგვას და ლოკალური გარემოს გამწვანებას. გაკვეთილი დაიწყო მუსიკის ფონზე, „წყლის წვეთის თავგადასავლით“, რომელიც მხატვრულად წაიკითხა **მარიამ ღლონტმა**, მას მოჰყვა ინსცენირება სტრატეგიით „როლური თამაში“ (მოსწავლეები – **თამთა კარგარეთელი** და **ანანო დავლიანიძე**) „CENN“-ის მიერ გამოცემული ეუთოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით დაბეჭდილი ბუკლეტის „გაამწვანე“ მიხედვით.

წვდომისათვის დაურიგდათ ბუნება პრინტის (დირექტორი – ქალბატონი **ლელა აზნიაშვილი**) ჟურნალის „მშვენიერი საქართველო“ სხვადასხვა ნომრები. ტექსტიდან ნაცნობი საკითხების ამოცნობის სტრატეგიის – ვიცი-მინდა ვიცოდე – გამოყენებით მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი დავალებას. ტესტების და საკონტროლო კითხვების მიხედვით გამოამჟღავნეს განვლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა. თითქმის მთელი კლასი იყო აქტიურად ჩართული, შეფასებაც შესაბამისად დაიმსახურეს, მოსწავლეთა 80-100%-მა 8-9-10 ქულა მიიღო.

გაკვეთილზე გამოყენებული იყო ინტერნეტი, ვიდეოფილმები, „საქართველოს მთიანი ტყეები“ იყო ნაჩვენები პროექტორით. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლოკალურ გარემოზე ადამიანის უარყოფითი და დადებითი ზემოქმედების ფაქტები სასკოლო ჟურნალის „ადამიანი და ბუნება“ მიხედვით, იმსჯელეს შედეგებზე და გამოთქვეს მოსაზრება პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

ბიოლოგიის მასწავლებელი მადლობას უხდის როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების – „CENN“, „ბუდე“-ს ხელმძღვანელებს და მომავალშიც სიამოვნებით დაგეგმავს თანამშრომლობას ყველა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ დაიშურებენ ენერგიას მომავალი თაობის სწორი ეკოლოგიური აღზრდისთვის.

ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით სკოლის დირექტორს, ქალბატონ **მანანა კიკაჩიშვილს** და დირექტორის მოადგილეებს სასწავლო დარგში – **ეკა რაინაულს**, აღმზრდელობით დარგში – **შორენა ზარდიაშვილს**.

მარინა ბენიძე

„მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...“

1989 წლის 9 აპრილი...

მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და გულს, სხეულს სამუდამოდ დააჩნდა კიდევ ერთი ჭრილობა, ქართული მიწა კვლავ განიბანა მოწამებრივი სისხლით.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მომხმობ სიტყვას, ქრისტეს ჯვარს, წმინდა გიორგის დროშას, ღვთისმშობლის ხატებსა და წმინდა სანთლებს საბჭოთა რეჟიმმა ტანკები, ალესილი ნიჩბები, ხელკეტები, ტყვია და ქიმიური იარაღი დაუპირისპირა.

გოდება გვმართებს უმანკო მსხვერპლთა გამო, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მათი წმინდა სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა, იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის დუღაბად იქცა: *„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!“ „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!..“*

ესენი არიან: თამრიკო ჭოველიძე, ნათია ბაშალეიშვილი, ეკა ბეჟანიშვილი, აზა ადამია, თამრიკო დოლიძე, ნატო გიორგაძე, მარინა ჭყონია-სამარგულიანი, ნანა სამარგულიანი, მზია ჯინჭარაძე, თამარ მამულაშვილი, მანანა მელქაძე, ნინო თოიძე, ზაირა კიკვიძე, თინა ენუქიძე-ლეკიშვილი, მანანა დოლიძე, ელისო ჭიპაშვილი, შალვა ქვასროლიაშვილი, მამუკა ნოზაძე, ნოდარ ჯანგირაშვილი, გია ქარსელაძე...

სამარადისო დიდება მათ სახელს!

ეს ლოზუნგი გასდევდა ღონისძიებას, რომელიც გაიმართა აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის VII^ა კლასში (ხელმძღვანელი – **თინა ჯღარკავა**). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალბატონ თინა ჯღარკავას მოღვაწეობა და პატრიოტული საქმიანობა სკოლაში. ის უსაზღვროდ შეყვარებულია მომავალ თაობაზე.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ტკივილიანი დღეები. წარმოადგინეს, რადგან მათ ამ ტრაგედიის შესახებ მხოლოდ წაუკითხავთ, მხოლოდ გადმოცემით იციან. დაღუპულთა სურათებს სანთლები დაუნთეს, ლექსები წაუკითხეს; ესაუბრებოდნენ ისე, როგორც ცოცხალ ადამიანებს.

გრძნობით წაკითხულმა ლექსებმა ტკივილთან დააახლოვა და ცრემლები მოჰგვარა მაყურებელს. საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ამავე კლასის მოსწავლის, **რენალდო ქირიას** მიერ წაკითხულმა საკუთარმა ლექსმა, რომელშიც ნათლად იყო ნაჩვენები მომიტინგეთა მიზნები, ტრაგედია და შედეგები.

ბოლოს სკოლის მოსწავლეებმა ტრაგედიის სიმბოლო – ტიტები ჩამოურიგეს დარბაზს, ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ იმღერეს. განიცადეს, შეიგრძნეს ის, რამაც 9 აპრილის მსხვერპლნი შეკრიბა ერთ მუჭად და საერთო სურვილებით შეაკავშირა. ეს იყო სამშობლო, თავისუფლება!

მთელი კლასი ჩართული იყო საღამოს მოსამზადებელ სამუშაოებში. მათ ძალიან დიდი ინტერესით მოიძიეს მასალები და სურათები; შექმნეს კუთხე: *„ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.“*

ღონისძიებაზე გამოყენებულ იქნა ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„ღმერთმა წყენა გაშოროთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ
„სხვისა წყენისა დაკლებით
თქვენიცა განჰქარდებიან.“

ღმერთმა ყოველი საქმე კარგად წაგიმართოთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ საქმეს კარგად წარმართავს მარტო ჭკვიანი გული და გულიანი ჭკუა.

ღმერთმა უმაღლესს ღირსებამდე მიგახწევინოთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ყველაზედ უტყუარი ნიშანი უმაღლესის ღირსებისა შურის არქონაა.“

დასასრულს გისურვებთ, ღმერთმა თქვენის ქვეყნის სიყვარული გაგიძლიეროთ და იცოდეთ, რომ *„რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში მაინც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს.“*

ასმათ შამუგია

P. S. *აფხაზეთის №1 საჯარო სკოლას ძალიან დიდ სირთულეებს უქმნიდა ინტერნეტის არარსებობა. წელს დაგეგმილი და ნანატრი ინტერნეტიზაცია აპრილში წარმატებით განხორციელდა. აფხაზეთის დანარჩენ სკოლებს (და არა მხოლოდ მათ), რომელთაც აღნიშნული პრობლემა ჯერაც ვერ მოუგვარებიათ გარკვეული მიზეზებისდა გამო, ვუსურვებთ წარმატებებს ამ საკითხთან დაკავშირებით.*

ქართულ-ამერიკული გაკვეთილი – უფლებათა ცისარტყელა

10 აპრილს, თბილისის 39-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **მარინა დავითაია**), ჩატარდა ინტეგრირებული, საჩვენებელი გაკვეთილი სამოქალაქო განათლების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის „მოზაიკა II“ ფარგლებში. როგორც ვიცით, რამდენიმე წელია, სეიჯის კოლეჯებისა და საქართველოს მასწავლებელთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ერთობლივი პროექტი ამოქმედდა. გაკვეთილი კომბინირებული იყო და მასში მონაწილეობდნენ ქართველ-ამერიკელი პედაგოგები: თბილისის №39 სკოლის გეოგრაფიის – **ნანა ფერაძე** და ისტორიის – **ნინო ტურაშვილი**, ასევე, ნიუ- იორკის მასწავლებლები**: დებორა ფოგარტი** და **რობინ კოვატი.**

უცხოელ პედაგოგთა ვიწრო სპეციალობა მშობელთა ურთიერთობების მოწესრიგება, დაცვა, საკონსტიტუციო სამართალი, საზოგადოებასთან ურთიერთობის შემსწავლელი დისციპლინებია.

დებორა ფოგარტი და რობინ კოვარტი საქართველოს ესტუმრნენ სამოქალაქო სწავლების შესახებ შეხედულებებისა და მოსაზრებების შესწავლის, გამოცდილების გაზიარების, სიახლეების დანერგვისა და მეთოდური დახმარების კვლევის მიზნით.

დებორა ფოგარტი : *„ვასწავლი სოციალურ მეცნიერებებს ფრანსის ლევისის უმაღლეს სკოლაში, ქვინსში, ნიუ-იორკი. ბუნებით სამართლიანი ვარ და სოციალური უფლებების დამცველი. ჩემეული სწავლება (კურსი) ადამიანთა სიყვარულითაა გაჯერებული. იქნებ ამიტომაც გახლდით პროფესიული კავშირის შეერთებული შტატების მშრომელთა განყოფილების იურიდიული წარმომადგენელი, ადვოკატი“.*

რობინ კოვატი: *„ვასწავლი სამართალსა და კვლევას შიპშედ დეის უმაღლეს სკოლაში, ბრუკლინში, ნიუ-იორკი. იქ ეთნიკურად, რასობრივად, სოციალურ-ეკონომიკურად განსხვავებული 2500 სტუდენტი სწავლობს. მათი ასაკი 13-დან 21 წლამდეა, უმრავლესობა 14-18 წლისაა. მე მათ მსოფლიო ისტორიას ამერიკის ისტორიასთან ერთად ვასწავლი, ასევე – მართვასა და საზოგადოების შემსწავლელ დისციპლინებს“.*

„უფლებათა ცისარტყელა “ – გაკვეთილი ორი ეტაპისგან შედგებოდა. პირველი 45 წუთი მასპინძლებს დაეთმო – სკოლიდან სამოქალაქო საზოგადოებამდე – ეს იყო თემა, რომელიც VIII^{ბ} კლასის 33 მოსწავლისა და სკოლის თვითმმართველობის ჩართულობით წარმოჩნდა.

VIII-XII კლასების მოსწავლეებმა თავისუფლად გაართვეს თავი ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების ურთულეს საკითხებს პრეისტორიულ სინამდვილესა თუ რეალურ ყოფაში, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ სივრცესა თუ ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროში. ჯგუფური მუშაობა საინტერესოდ წარიმართა. იყო პრეზენტაციები, დებატები, დასკვნები. განიხილებოდა კონვენციის ოთხი პრინციპი, იუნესკოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის საქმიანობა, ნატოსა და საქართველოს ურთიერთობები, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ჰუმანიტარული ჩარევისა და შეიარაღებული კონფლიქტების თემა. მწვავედ და აქტიურად დაისვა საკითხი, რას მოუტანს საქართველოს ნატოში გაერთიანება.

გაკვეთილი დასრულდა პოლემიკური კითხვით: რომელ საერთაშორისო ორგანიზაციას მივმართოთ ჩვენი ქვეყნის პრობლემების გადასაჭრელად?

მოსწავლეებმა მოამზადეს მიმართვის ტექსტი გაეროსადმი, რომელსაც ორივე ჯგუფი აწერდა ხელს.

გაკვეთილის მეორე ნაწილი პრაქტიკული სამუშაოთი და წინასწარ მომზადებული ინფორმაციული მასალით იყო გაჯერებული. თემა ეხებოდა ქართველთა და ამერიკელთა თვალთახედვით მოქალაქეობის ცნების გაგებასა და აღქმას, გააზრებასა და განცდას. ამერიკელი სტუდენტების მიერ შექმნილი ესეების გათვალისწინებით (რომელიც მოსწავლეებს ინდივიდუალურად დაურიგდათ) გაიმართა დებატები ჯგუფებს შორის შემდეგ საკითხებზე:

ა) როგორც მოქალაქეს, შეგიძლიათ თუ არა საქართველოში გახდეთ ის, ვისაც თქვენ ისურვებდით?

ბ) როგორ გესმით მოქალაქის პასუხისმგებლობა?

გ) რას გულისხმობს საქართველოში მოქალაქის უფლებების შესატყვისი პრივილეგიები?

ჩვენმა მოზარდებმა საკმაოდ საინტერესოდ გაშალეს თემა, პრობლემურ საკითხებს არ შეუშინდნენ და აბსოლუტური გულწრფელობით აღიარეს, სამშობლო მათთვის მამულია და ყველაზე დიდი განძი. თუ ამერიკის მოქალაქეობა ნიშნავს, იცხოვრო ოცნებით (როგორც ეს თეზისებში ეწერა), ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა არაფრითაა ნაკლები და მეტიც, შრომა და ღვაწლი გიხდენს ოცნებებს და არა აქვს მნიშვნელობა სად დაიბადები.

უცხოელი პედაგოგები კმაყოფილნი დარჩნენ მწვავე დისკუსიითა და მოზარდთა შემართებით. სკოლის დირექციასა და მასწავლებლებს მოუწონეს მოსწავლეთა სამოქალაქო აზროვნება და გამოთხოვებისას, გამოცდილების გაზიარების მიზნით, დაპირდნენ უცხოეთში მიწვევას.

თამარ ბარისაშვილი

ლეგენდარული კაპიტნის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

1998-1999 წლიანებში I ადგილზე გასული გუნდი

2000-2001 წლიანებში I ადგილზე გასული გუნდი

კასპის რაიონის სოფელ ფერმის ქართული სკოლის საფეხბურთო გუნდი

დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლის კეთილმოწყობილ ხელოვნურ-საფარიან მოედანზე თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის, **შოთა იამანიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა.

„თბილისის „დინამოს“ პირველი ოქროს კაპიტანი“, „გვახსოვხარ, კაპიტანო!“, „ფეხბურთის კეთილშობილი რაინდი“, „დიდი კაპიტანი“ – ამ ეპითეტებით მოიხსენიებდნენ იმ დღეს მართლაც დიდ ფეხბურთელს, ვარსკვლავების კაპიტანს.

ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა (1998-1999 წლებში და 2000-2001 წლებში დაბადებულნი). ტურნირი მასპინძლებმა მოიგეს, რაც სავსებით ლოგიკურია – ისინი ხომ სახელგანთქმული „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები არიან ვაკეში.

ტურნირს განსაკუთრებული ელფერი შესძინა კასპის რაიონის სოფელ ფერმის ქართული სკოლის აზერბაიჯანელ მოსწავლეთა საფეხბურთო გუნდის მონაწილეობამ. როგორც გაირკვა, ისინი დედაქალაქში გამართულ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობაზე დიდი ხანია ოცნებობენ. ამ ორი სკოლის დირექტორების – **იოსებ ხუციშვილისა** და **შახალი ისმაილოვის** პირადი ნაცნობობით ეს შეხვედრა შედგა. აღსანიშნავია, რომ ფინალამდე სტუმრებმა ყველა თამაში მოიგეს. ფინალში კი, როგორც აღვნიშნეთ, 57-ე სკოლელებმა სძლიეს.

ასპარეზობის გამორჩეულ მონაწილეებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვეტერანთა ფონდის თავმჯდომარის, ბატონ **ვაჟა ჟვანიას** დაწესებული პრიზები შოთა იამანიძის ოჯახის წევრებმა და თანაკლუბელებმა გადასცეს. პრიზები გადაეცათ:

2000-2001 წლებში დაბადებულებს:

1. საუკეთესო მეკარე – **ზურაბ ხეთაგურს**;
2. საუკეთესო ბომბარდირი – **ნიკა ძებნიაურს** (12 ბურთი);
3. საუკეთესო ფეხბურთელი – **გიორგი ომაძეს**.

1998-1999 წლებში დაბადებულებს:

1. საუკეთესო მეკარე – **ნიკოლოზ ისაკაძეს**;
2. საუკეთესო ბომბარდირი – **ფაზილ რამაზოღლის** (18 ბურთი);
3. საუკეთესო ფეხბურთელი – **რეზო ომაძეს**.

გადაწყვეტილი გვაქვს, მომავალში სხვა სახელგანთქმული ფეხბურთელების სახელობის ტურნირების გამართვა. გვინდა მივმართოთ დედაქალაქის საჯარო სკოლებს, დაგვიკავშირდნენ, რათა შაბათ-კვირას ამხანაგური, სამეგობრო ტურნირები მოვაწყოთ მათთან ან ჩვენთან, ვაკეში. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო სპორტის ამ სახეობის განვითარებას, არამედ სკოლების, ერთი თაობის ახალგაზრდების დამეგობრებას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

უახლოეს მომავალში, სკოლაში, მკლავჭიდის სექცია გაიხსნება, ასევე, არსებობს შესაბამისი ბაზა ქართული ჭიდაობის სკოლის ჩამოსაყალიბებლად. ამ საქმეში სპორტის დეპარტამენტის და ქართული ჭიდაობის ფედერაციის აქტიურ დახმარებას ველით.

ვახტანგ ბაქანიძე

თბილისის №57 საჯარო სკოლის ესთეტიკისა და სპორტის კათედრის გამგე, ტურნირის ორგანიზატორი და მსაჯი

ჭანტურიას ბარსელონური დუბლი

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ „ბარსელონაში“ სტაჟირებაზე მყოფი **გიორგი ჭანტურია** აგრძელებს წარმატებულ გამოსვლას და იქაურ მწვრთნელთა გაოცებას. გასული კვირის ბოლოს „ბარსელონამ“ სარაგოსაში 17-წლამდელთა ოთხთა ტურნირში ითამაშა, სადაც მისი და მასპინძლების გარდა, მადრიდული გიგანტების – „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ ამ ასაკის გუნდებიც გამოდიოდნენ. ბარსელონელები თავდაპირველად „ატლეტიკოს“ შეხვდნენ და 5:2 იმარჯვეს, რაშიც დიდი წვლილი ქართველმა თავდამსხმელმა შეიტანა – მან დუბლი იმ დროს შეასრულა, როცა მისი გუნდი 0:1 აგებდა.

ამ გამარჯვებით „ბარსელონა“ ფინალში გავიდა, სადაც მასპინძლებს 3:1 მოუგო. მართალია, ამ შეხვედრაში ჩვენებურს გოლი არ გაუტანია, მაგრამ კარგი თამაშით მწვრთნელებისგან საგანგებო ქება დაიმსახურა.

მოფარიკავეები მსოფლიო პირველობაზე

ამ უქმეებზე ახალგაზრდა მოფარიკავეებმა ბრიტანეთში, ჩრდილო ირლანდიურ ბელფასტში მსოფლიო პირველობაში იასპარეზეს, თუმცა მედლებს ვერ შესწვდნენ. ქართული ფარიკაობის დღევანდელობიდან გამომდინარე, ეს არცაა გასაკვირი და მათგან მედლებს არც ელოდნენ - ფარიკაობა ხომ ჩვენში ახლა იწყებს აღორძინებას და ამ ბავშვებსაც მომავლის იმედად მიიჩნევენ.

ჭაბუკთა ტურნირში ბიჭებში სამი ქართველი მონაწილეობდა და პლეი ოფშიც სამივე გავიდა, თუმცა იქ პირველივე წრეში დამარცხდნენ. ყველაზე უკეთ **ლაშა მიქელაძე** გამოვიდა, რომელმაც ქვეჯგუფში 3 შეხვედრა მოიგო და საკვალიფიკაციო ტურნირიც ჩვენთვის არცთუ ურიგო ადგილზე დაასრულა – 37-ე 68 მონაწილეს შორის. 3 მოგებით 48-ზე გავიდა **მიხეილ მარდალეიშვილი**, **ალექსანდრე ბაზაძემ** კი ყველა შეხვედრა წააგო, თუმცა დაგროვილი ქულებით მაინც გავიდა პლეი ოფში.

აქ გოგონებში ერთადერთი მონაწილე გვყავდა – **თეოდორა კიკიანი**, რომელმაც 1 მოგებით დაასრულა ჩემპიონატი.

ორიოდ დღეში ჩვენი ბიჭების ტრიოდან ორი – ალექსანდრე ბაზაძე და ლაშა მიქელაძე ახალგაზრდულ ტურნირშიც ჩაებნენ, მარდალეიშვილი კი **ბექა ბაზაძემ** შეცვალა. აქ ჩვენები შედარებით უკეთ გამოვიდნენ, თუმცა მედლებს მაინც ვერ შესწვდნენ. ბექა ბაზაძემ ჯგუფურ ეტაპზე ძალზე კარგად იფარიკავა – 6-დან 4 შეხვედრა მოიგო და პირველ ადგილზე გავიდა, მაგრამ საკვალიფიკაციო ჩათვლაში 37-ე ადგილს მაინც ვერ ასცდა. მიქელაძე 4 მოგებით ჯგუფში მეორე, რეიტინგში კი 41-ე ადგილზე გავიდა, ალექსანდრე ბაზაძის მონაგარი კი 2 მოგება და 51-ე ადგილი იყო 96 მონაწილეს შორის.

პლეი ოფში სამივე ჩვენებური გავიდა, სადაც მოულოდნელი რამ მოხდა – მეტოქე არც ერთს არ გამოუცხადდა და მეორე ეტაპზე სამივე გავიდა, აი, იქ კი ყველამ წააგო.

აქ გოგონებში **თათია აფციაურმა** ჯგუფში ორი შეხვედრა მოიგო და შესარჩევი 54-ე ადგილზე დაასრულა, კიკიანმა კი ყველა შეხვედრა წააგო და ვერც პლეი ოფში მოხვდა. რაც შეეხება აფციაურს, პლეი ოფში პირველივე წრეში დამარცხდა.

14 ევროპული მედალი

ლიტვის ქალაქ შიაულიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატში ქართველმა ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმა 14 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს.

ახალგაზრდებმა 2-2 ოქრო და 4 ბრინჯაო მოიპოვეს, გუნდურში კი მეორეზე გავიდნენ. ამ ასაკში ჩემპიონები გორელი **ნოდარ კუდუხაშვილი** (82) და ქუთაისელი **ლაშა გურული** (90) გახდნენ, ვერცხლის მედლები კი ფოთელმა **ვაჟა ლატარიამ** (52) და თბილისელმა **ლევან ნახუცრიშვილმა** (68) მოიპოვეს. მესამეზე კასპელი **გიორგი გეჯაძე** (48), ფოთელი **ბექა ბუცხრიკიძე** (57), გორელი **გიორგი ბოლოთაშვილი** (100) და ქუთაისელი **დავით ბოჭორიშვილი** (მძიმე) გავიდნენ.

ჭაბუკების მონაგარი თითო ოქრო-ვერცხლი, 4 ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილია. ჩემპიონი გარდაბნელი **არჩილ შინჯიკაშვილი** (87) გახდა, ვერცხლი გორელმა **გოჩა ვარძელაშვილმა** (60) ირგუნა, ბრინჯაოებს კი ფოთელი **გივი ნადირაშვილი** (48), ქუთაისელი **გენადი ჩირგაძე** (52), გორელი **ზვიად კაპანაძე** (75) და საგარეჯოელი **იაგო მესტვირიშვილი** (81) დაეუფლნენ.

დებიუტი ბუნდესლიგაში

როგორც იქნა, ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ, 18 წლის ფეხბურთელ **ლევან ყენიას** ბუნდესლიგაში დებიუტი ეღირსა. გელზერკირხენის „შალკეს“ თავდამსხმელს, კოჭის ტრავმის გამო, წლევანდელი სეზონი, პრაქტიკულად, გაუცდა და ტრავმის გამო ვერც ეროვნულ ნაკრებს დაეხმარა კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან მატჩებში. ტრავმის მიზეზით გადაიდო მისი დებიუტი გერმანიის უმაღლეს ლიგაშიც, თუმცა შაბათს, მწვრთნელმა **მიხაელ ბუსკენსმა** „კარლსრუესთან“ შეხვედრაში ბოლო 5 წუთი ათამაშა. ამ დროს გელზერკირხენელები 2:0 იგებდნენ და დებიუტანტის მოედანზე შეშვებით არაფერს კარგავდნენ. ბუსკენსმაც შანსი მისცა ჩვენებურს და ქართული ფეხბურთიც ერთი საამაყო ფაქტით გაამდიდრა.

ირაკლი თავაძე

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.